# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცდენა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.


ოთხშაბათი, 8 ნოემბერი. 2023 წ. №125 (9657) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი


## ნაცხროვა არსად წასულა!!!

**2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენებიდან 16 წელი გავიდა.** სამი დარბევა ერთ დღეს, აქციის დაშლა რუსთაველის გამზირსა და რიყეზე, შეჭრა ტელეკომპანია „იმედში“ — გამთენიისას, სამართალდამცველებმა თავისუფლების მოედანზე მცირერიცხოვანი აქციის დარბევა დაიწყეს.

ვითარების დაძაბვიდან მალევე, თბილისის ცენტრში სპეცდანიშნულების რაზმი გამოჩნდა. სამართალდამცველებმა წყლის ჭავლით, რეზინის ტყვიებითა და ხელკეტებით, მომიტინგეების დარბევა დაიწყეს. დღის მეორე ნახევარში აქციის მონაწილეებმა რიყეზე გადაინაცვლეს, პარალელურად, შსს-მ ოპოზიციონერი ლიდერების სატელეფონო საუბრები გამოაქვეყნა.

ჩანაწერების გავრცელებიდან მალევე, რიყის აქციის დარბევა დაიწყო. დღის ბოლოს კი, სპეცრაზმი ტელეკომპანია „იმედში“ შეიჭრა.

7 ნოემბერს აქციის დარბევისა და „ტელეიმედში“ შეჭრის საქმეზე ბრალდებულნი არიან: **მიხეილ სააკაშვილი, ზურაბ ადეიშვილი, გიგი უგულავა, დავით კეზერაშვილი** და **ვანო მერაბიშვილი.**




2007 წლის 7 ნოემბრის დარბევებიდან 16 წელი გავიდა!




## პანიკური შიში ულირსი ოპოზიციისა...

**მგონი, მართლა გვაძლევენ კანდიდატის სტატუსს!**




## თამაზ გინტური მანქანაში მოკლეს. სულ დაცხრილულია...

## ყარაბაღი აზერბაიჯანია!




**44 დღეში მოპოვებული გამარჯვება**




## „ხალხი უნდა აიძულო, შეძრწუნდეს, რათა ჩაუნერგო შეუპოვრობა“!

### ჟურნალისტური პროფესიის პრესტიჟი

**ვილენ მარდალეიშვილი**



## სადაც შენ დაიმარხე, შენი მთაწმინდაც იქ არის! 7

**მურთაზ კანკაძე**



## „არ ვეპუები სიბერეს, დროს უმიზნოდ არ ვკარგავ...“ 7

# მანქანაში მოკლეს. სულ დაცხრილულია...




სოფელ კირბალის მცხოვრებთა ინფორმაციით, რუსეთის საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებმა **თამაზ გინტური** თავისსავე მანქანაში მოკლეს და მას ჭრილობები ზურგის არეში აქვს მიყენებული.

**„ავიდნენ (ეკლესიაში), სანთელი უნდა დაენთოთ და იქვე ყოფილან (რუსეთის საოკუპაციო ძალების წარმომადგენლები). მიცვივდნენ და ჩაცხრილეს ბიჭი მანქანაში. ერთი გაიტაცეს“,** – ამბობს ოჯახის ახლობელი ქალი.

დაკავებულის ბიძაშვილი ამბობს, რომ ინციდენტის შემდეგ რუსეთის წარმომადგენლებმა დაკავებულს დაარეკვინეს, რომ გარდაცვლილისთვის მიეკითხათ.

**„თავის „პიკაპში“ იყო ჩაწვენილი უკანა სავარძელზე. დაარეკვინეს. მე კარგად ვარ და თამაზის მიხედეთო. მთელს სოფელს უყვარდა. ყველა განიცდის“,** – ამბობს თვითმხილველი.

**„მანქანა ახლაც იქ გდია. ბეჭებში აქვს სამგან ნასროლი. მანქანაში მოკლეს. უკნიდან არის ნასროლი. სულ დაცხრილულია მანქანა“,** – ამბობს ადგილობრივი კაცი.

## პრემიერ-მინისტრი:

# ოკუპაციის კიდევ ერთი შედეგი!

**გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კირბალთან რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე უმძიმესი ფაქტი მოხდა – უკანონოდ დაკავების მცდელობისას რუსეთის საოკუპაციო ძალის წარმომადგენლის მიერ ცეცხლსასროლი იარაღით სროლის შედეგად მოკლულ იქნა საქართველოს მოქალაქე. მოვუწოდებთ საერთაშორისო თანამეგობრობას შესაბამისი შეფასება და რეაგირება მოახდინოს მომხდარზე, ასევე საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებს ითანამშრომლონ ყველა მხარესთან დამნაშავის გამოსავლენად და დასასჯელად,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი „ფეისბუქზე“, სოფელ კირბალთან მომხდართან დაკავშირებით წერს.

მთავრობის მეთაური უსამძიმრებს გარდაცვლილის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

**„გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კირბალთან რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე უმძიმესი ფაქტი მოხდა – უკანონოდ დაკავების მცდელობისას რუსეთის საოკუპაციო ძალის წარმომადგენლის მიერ ცეცხლსასროლი იარაღით სროლის შედეგად მოკლულ იქნა საქართველოს მოქალაქე.**

**მომხდარი კიდევ ერთხელ ადასტურებს ადგილზე არსებულ რთულ უსაფრთხოების გარემოს და მეტყველებს ოკუპაციის მძიმე შედეგებზე, რომელთანაც გამკლავება საქართველოს ხელისუფლებასთან ერთად, სამწუხაროდ, მშვიდობიან მოქალაქეებსაც უწევთ.**

**ვუსამძიმრებ გარდაცვლილის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს ამ უმძიმეს ტრაგედიას. სახელმწიფო მათ გვერდით დგას ამ მძიმე წუთებში.**

**აღნიშნულ ინციდენტთან დაკავშირებით ამოქმედებულია ყველა შესაბამისი მექანიზმი, ინფორმირებულები არიან საერთაშორისო პარტნიორები.**

**მიმდინარეობს აქტიური მუშაობა საოკუპაციო ძალების მხრიდან უკანონოდ დაკავებული საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქის უმოკლეს ვადებში გასათავისუფლებლად.**

**მოვუწოდებთ საერთაშორისო თანამეგობრობას შესაბამისი შეფასება და რეაგირება მოახდინოს მომხდარზე, ასევე საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებს – ითანამშრომლონ ყველა მხარესთან დამნაშავის გამოსავლენად და დასასჯელად“,** – აღნიშნავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

# ოკუპაცია არის წინა ხელისუფლების მოღალატეობრივი პოლიტიკის ყველაზე მძიმე მემკვიდრეობა!

**ოკუპაციამ ჩვენი კიდევ ერთი მოქალაქის სიცოცხლე შეიწირა. რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია არის წინა ხელისუფლების მოღალატეობრივი პოლიტიკის ყველაზე მძიმე მემკვიდრეობა, რომელთან დაპირისპირებაც ყოველდღიურად გვიწევს.**

**ვუსამძიმრებ თამაზ გინტურის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს. დამნაშავის დასასჯელად ყველაფერი უნდა გაკეთდეს,** – წერს „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე **ირაკლი კობახიძე** „ფეისბუქზე“.

# ჭკუა თავშია და არა ხანში!

## პენსიონერებო ჩვენი ქვეყნისა, გაერთიანდით!

**პენსიონერებო და ასაკოვანო მოქალაქენო, ვისაც ეს ქვეყანა გიყვარდით და მისი მომავალი გაშფოთებთ, გაერთიანდით. გაერთიანებისთვის, თუ საჭირო გახდა, ახალი პარტიაც უნდა დავაფუძნოთ.**

გაერთიანების (პარტიის) დაფუძნება უნდა დაიწყოს მუნიციპალიტეტის და დიდი ქალაქების რაიონებში ადგილობრივი ორგანიზაციების დაფუძნებით და შემდეგ მათი გაერთიანებით. პარტიამ უნდა იფუნქციონიროს მხოლოდ პარტიის წევრთა საწევრო გადასახადებით. სხვა რაიმე გადასახადებს ან შემოსავლებს პარტია უნდა გაემიჯნოს. პარტიის რეგიონულმა ორგანიზაციებმა უნდა წარუდგინონ მუნიციპალიტეტის გამგეობებს კონკრეტული პროექტები, უპირატესად საწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის შესახებ, რომლებიც გამოუშვებენ კონკურენტუნარიან პროდუქციას, დაასაქმებენ ადგილობრივ მოსახლეობას და ხელს შეუწყობენ ქვეყნის ეროვნული შემოსავლების ზრდას.

ასეთი ობიექტები უნდა დაფინანსდეს ქვეყნის ბიუჯეტიდან ან სააქციო საზოგადოებების დაფუძნებით და აქციების გაყიდვით. ასეთი დაფინანსება აუცილებელია, რომ აშენებული საწარმოო ობიექტები კომუნალური სარგებლობის იყოს, როგორც გვირჩევს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის პრეზიდენტი ბატონი კლაუს შვაბი.

პენსიონერთა პარტიის დაფუძნება ჰაერივით არის საჭირო, რადგან პენსიონერებმა კარგად იციან, რომ ქვეყანაში მოვლენები თუ ისე განვითარდა, როგორც ვითარდებოდა და ვითარდება, მივიღებთ სამოქალაქო ომს, უფრო სასტიკს და სისხლისმღვრელს, ვიდრე იყო 1990-იან წლების დასაწყისში. უფრო მეტად სულისშემძვრელი იქნება შვილმკვდარ დედათა ტირილი და ცრემლი.

თუ სამოქალაქო ომს ქვეყანა გადაურჩა, დღევანდელი პოლიტიკური სპექტრი გაყიდის ყველაფერს, უძრავმოძრავ ქონებას, გაყიდის ჩვენს მოქალაქეებს და ქვეყანას გადააქცევს კლასიკურ კოლონიად. ჩავლილი 30 წელზე მეტი ზემოთქმულის დადასტურებაა. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი უძრავ-მოძრავი ქონება გაიყიდა, ქვეყნის მოსახლეობის 1/3 საზღვარგარეთ გაიქცა და იქიდან ეხმარებიან თავიანთ ოჯახებს, გვაქვს მშპ-ს ორნიშნა ზრდა, თუმცაღა, ეს საკმარისი ყოფილა იმისთვის, რომ მსოფლიო სავალუტო ფონდმა შეგვიწყვიტოს სესხის მოცემა, რომ ვეღარ დავარიგებთ ხელფასებს, პენსიებს და სოციალურ დახმარებებს.

ქვეყნის პოლიტიკურმა სპექტრმა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა კარგად იცის, მაგრამ პოლიტიკოსები მაინც იყოფიან პროამერიკელებად, პროევროპელებად, პრორუსებიც გამოჩნდნენ და არც ერთი პროქართველი არ არის! ქართული საქმეების მკეთებლად დღევანდელი პოლიტიკოსები მაინც ვერ გარდაიქმნებიან, რადგან როგორც თვითონვე აღიარებენ, არც ეკონომიკა იციან, არც მრეწველობა და ზოგმა არც ვაჭრობა. პარლამენტში ჯდომა კი უნდათ! პენსიონერებო და ასაკოვანო მოქალაქენო, თქვენ ის საზოგადოებრივი ფენა ხართ, რომელსაც სინდისი სუფთა გაქვთ. რაც დღეს ფასეული გააჩნია ქვეყანას, როგორც მატერიალური ისე სულიერი, თქვენი და თქვენამდელი თაობების თავდაუზოგავი შრომითაა შექმნილი, ამიტომ თქვენი ხმამაღალი განცხადება, როგორც მინიმუმი, ქვეყანას დაიცავს სამოქალაქო ომისგან.

ჩვენ ვალდებულიც ვართ, რომ გავერთიანდეთ!!!

**ნუგზარ კობახიძე,**
დამოუკიდებელი ექსპერტი. ტ: 593 74 82 53

# თბილისს მალე კომპანია MAN-ის მიერ წარმოებული 18-მეტრიანი ავტობუსები ეყოლება

**მიუნხენში სამუშაო ვიზიტით მყოფი თბილისის მერი კახა კალაძე, მოადგილე ირაკლი ბენდელიანთან და კომპანია „თეგეტა მოტორსის“ ხელმძღვანელ პირებთან ერთად, გუშინ, მიუნხენში, კომპანია MAN-ის წარმომადგენლებს შეხვდა და MAN-ის საგამოფენო დარბაზში თბილისისთვის განკუთვნილი 18-მეტრიანი ავტობუსები დაათვალიერა. თბილისის მერს MAN-ის ვიცე-პრეზიდენტმა ბარბაროს ოქტაიმ უმასპინძლა,** – ამის შესახებ ინფორმაციას თბილისის მერია ავრცელებს.

თბილისის მერის, კახა კალაძის განმარტებით, ავტობუსების შემოყვანა დეკემბრის თვიდან დაიწყება.

**„დღეს მიუნხენში ვიმყოფებით, სადაც ვნახეთ 18-მეტრიანი ავტობუსები, რომელიც თბილისისთვისაა განკუთვნილი. 160 ერთეული ავტობუსი შევიძინეთ. ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება და ხელშეწყობა. დედაქალაქის მთავრობა ყველაფერს აკეთებს, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტი ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს და ადამიანები თავისუფლად გადაადგილდებოდნენ. დღეს გვაქვს გარკვეული გამოწვევები – ვხედავთ გადაჭედილ ავტობუსებს. 18-მეტრიანი ავტობუსები განტვირთვის და უფრო მეტი მგზავრის გადაყვანის საშუალებას მოგვცემს. ბოლო სამი წლის მანძილზე მთლიანად განვაახლეთ საზოგადოებრივი ტრანსპორტი – ქალაქს ახალი ავტობუსები და მიკროავტობუსები ჰყავს. ბოლო ეტაპი იყო 18-მეტრიანი ავტობუსების შემოყვანა, რაც მომავალი წლის ბოლოსთვის მთლიანად დასრულდება. წელს, დეკემბერში 50 ერთეული შემოვა საქართველოში და იანვრის ბოლოდან მოემსახურება თბილისის მოსახლეობას. აღნიშნული ავტობუსები როგორც ვიზუალურად მოუხდება ქალაქს, ასევე, მგზავრთა გადაყვანის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი კომპონენტი იქნება“,** – განაცხადა კახა კალაძემ.



კომპანია MAN-ის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში არის კომპანია „თეგეტა მოტორსი“, რომელიც კომპანია MAN-თან თანამშრომლობით, უზრუნველყოფს ავტობუსების მიმდინარე სერვისს მაღალი ხარისხის ორიგინალი ავტონაწილებით და სარემონტო მომსახურებით. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდული, ბუნებრივ აირზე (CNG) მომუშავე 160 ერთეული ავტობუსის შემოყვანა თბილისში ეტაპობრივად იგეგმება. 2024 წლის ბოლომდე თბილისს ეყოლება კომპანია MAN-ის მიერ წარმოებული 400-მდე ავტობუსი, რაც მთლიანი საავტობუსე პარკის დაახლოებით 40% იქნება.






## დიმიტრი ხუნდაძე: „ნაციონალური მოძრაობა“ უნდა გასამართლდეს!

...7 ნოემბრის მესვეურებთან რამდენად შესაძლებელია დეპოლარიზაცია, უნდა ხვდებოდნენ ჩვენი დასავლელი პარტნიორები. ისიც ცხადი უნდა იყოს ყველასთვის, რომ დემოკრატია არ არის სიტყვის თავისუფლების ჩახშობა, დამოუკიდებელი ტელევიზიისა და მშვიდობიანი მიტინგის დარბევა, ასობით ჟურნალისტის საკუთარი ბინიდან გამოყრა...

ამ რეჟიმის მაშინდელ მესვეურებსა და დღევანდელ ოპოზიციურ ლიდერებს როცა ზოგიერთ ქვეყანაში, დემოკრატიისთვის ბრძოლაში ღვაწლისთვის აჯილდოებენ, საზოგადოებისთვის ამის ახსნა შეუძლებელია. 7 ნოემბერი არის სახე „ნაცმოძრაობის“ რეჟიმისა. ეს ტკივილი ერთხელ უკვე ნახა ქართველმა ხალხმა და მეორედ ამის სურვილი აღარავის აქვს. ამიტომ არის რადიკალიზმი ოპოზიციისთვის ბრძოლის მთავარი იარაღი, თუმცა უშედეგოდ. შეუძლებელია, დღევანდელი დღე გახსოვდეს და კვლავ წარსულში დაბრუნება გსურდეს. 11 წლის წინ ის სისხლიანი დღეები ჩვენ წარსულს დავუტოვეთ და პირობა მივეცით ხალხს, რომ აღარასდროს დავუშვებდით ამის განმეორებას. რეალურმა დემოკრატიამ სწორედ 2012 წლიდან დაიწყო შენება საქართველოში და ასე გაგრძელდება მომავალშიც, რადგან ეს არის ქართველი ხალხის არჩევანი და არა ყალბი ღირებულებებით შეფუთული ანტიდემოკრატიული და ანტისახელმწიფოებრივი რეჟიმი.

# პანიკური შიში უღირსი ოპოზიციისა...

## მგონი, მართლა გვაძლევენ კანდიდატის სტატუსს!



**8 ნოემბერი არის მნიშვნელოვანი ეტაპი, როცა ევროკომისიამ უნდა გამოაქვეყნოს შესაბამისი დასკვნა კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით. რადიკალურ ოპოზიციას აქვს მოლოდინი, რომ ევროკომისიის დასკვნა იქნება ძალიან კრიტიკული. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, თვლიან, რომ საზოგადოებამ და პოლიტიკურმა აქტორებმა უნდა იმუშაონ ხელისუფლების შეცვლაზე და ამ თვალსაზრისით, 2024 წელი უნდა იყოს გარდამტეხი, რომ „პრორუსული ხელისუფალი“ ქვეყანაში შეიცვალოს. ხელისუფლებაში კი დარწმუნებული არიან, რომ დასკვნა იქნება დადებითი და უკვე დეკემბერში საქართველო მიიღებს კანდიდატის სტატუსს.**

მმართველ გუნდში ამბობენ, რომ ოპოზიციის მიზანია კანდიდატის სტატუსი ქვეყანაში დესტაბილიზაციის წყარო გახადოს და ამის არაერთი მცდელობა დადასტურდა. უმრავლესობის დეპუტატი **მიხეილ სარჯველაძე** აცხადებს, რომ ოპოზიციის მხრიდან დიდი მცდელობა მოხმარდა იმას, რომ ქვეყანას რაც შეიძლება მეტად შეშლოდა ხელი.

**„ოპოზიციის მხრიდან დიდი მცდელობა მოხმარდა იმას, რომ ქვეყანას რაც შეიძლება მეტად შეშლოდა ხელი კანდიდატის სტატუსის მოსაპოვებლად. მინდა, ჩვენმა საზოგადოებამ იცოდეს, რომ ჩვენი ქვეყანა კანდიდატის სტატუსს ჯერ კიდევ შარშან იმსახურებდა და ახლაც იმსახურებს. ყველა, ვინც ამ მოსაზრებას არ ეთანხმება და თვლის, რომ დღეს კანდიდატის სტატუსს ჩვენი ქვეყანა არ იმსახურებს, მათ ინტერესშია, რომ ქვეყანამ არ შეძლოს კანდიდატის სტატუსის მოპოვება“,** – განაცხადა **მიხეილ სარჯველაძემ.**

ოპოზიციაში კარგად ხვდებიან, რომ მცდელობის მიუხედავად ქვეყანა დამსახურებულ სტატუსს ამჯერად მაინც მიიღებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის წინააღმდეგ მოქმედება კრახით დასრულდა. თუმცა, **გიორგი ვაშაძის** განცხადებით, იმედს იტოვებს, რომ იქნებ, ავანსად მაინც მოგვცენ კანდიდატის სტატუსი.

**„ვის ველაპარაკებდი ხელისუფლებაში რომ ვიყო, ყველა პუნქტს შევასრულებდი კი არა, ახლა, კარებზე გვექნებოდა ატეხილი ბრახაბრუხი. ევროკავშირში ძალიან კარგად ხედავენ, რომ „ქართულ ოცნებას“ არაფერი კავშირი არ აქვს ამ სურვილთან. დანარჩენს უკვე დრო გვიჩვენებს. ახლა რომ გითხრათ, ამ ერთ დღეში კიდევ რამე კანონის მიღებაა შესაძლებელი, მოგატყუებთ. ვნახოთ, 8 ნოემბერს დაველოდოთ, შემდგომ 15 დეკემბერს. ერთადერთი, რისი იმედიც მაქვს არის ის, რომ იქნებ, ავანსად მაინც მოგვცენ კანდიდატის სტატუსი და ჩვენი ამოცანა იყოს რუსული სისტემისგან ქვეყნის გათავისუფლება და ევროკავშირის მიმართულებით მკაფიოდ შემობრუნება“,** – აცხადებს **გიორგი ვაშაძე.**

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრი **ნიკა მელია** ფიქრობს, რომ მიუხედავად ხელისუფლების არასწორი პოლიტიკისა, საქართველო კანდიდატის სტატუსს მიიღებს.

**„თუმცა, ეს რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ჩვენ მყისიერად გავხდებით ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრები. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატის სტატუსი მივიღოთ, მაგრამ როდესაც შენ გყავს ხელისუფლება, რომელიც არ გულისხმობს ევროპას თავისი ქმედებით, თავისი პოლიტიკით, გადადგმული ნაბიჯებით, ქვეყანას უნდა ჰყავდეს ევროპული და ეროვნული ხელისუფლება, რაც შესაძლებელი იქნება 2024 წლის არჩევნების შემდეგ“,** – ამბობს **ნიკა მელია.**

„ხალხის ძალის“ წევრის, **დავით ქართველიშვილის** განცხადებით, საქართველოს წლის ბოლოს კანდიდატის სტატუსს მიანიჭებენ ისე, რომ ჩვენ ამის გულისთვის ქვეყნის მოსამართლეთა კორპუსის და იუსტიციის საბჭოს წევრთა შერჩევის პროცესი არ დავუქვემდებარეთ საერთაშორისო ორგანიზაციების პრეროგატივას, ასევე ცსკოს წევრთა დაკომპლექტებაში გამოვრიცხეთ უცხო ქვეყნების მონაწილეობა, არ ჩავატარეთ გახრწნილების პრაიდ-აღლუმი და არ ვმსჯელობდით პორნოგრაფიის ლეგალიზაციის კანონის მიღებაზე.

**„არ დავაინიცირეთ ერთნაირსქესიანთა ქორწინების რეგისტრაციის კანონი; არ გავხსენით მეორე ფრონტი; არ დავუშვით გადატრიალება; არ ავკრძალეთ ხელისუფლების პოლიტიკური კონკურენტი პარტიების საქმიანობა; არ დავხურეთ ოპოზიციური ტელეარხები; არ მოვარგეთ „დეოლიგარქიზაციის“ კანონი კონკრეტულ პერსონიფიცირებულ დაკვეთას; ცალ ფეხზე დგომით არ ვეხვეწებოდით სტატუსის მინიჭებას; არც კანონიკური მართლმადიდებლური ეკლესიის საქმიანობა აგვიკრძალავს ქვეყნის ტერიტორიაზე. ახლა კი იპოვეთ 12 განსხვავება უკრაინისთვის და მოლდოვასთვის მინიჭებულ ანალოგიურ სტატუსებთან, უფრო სწორად – მათი მოპოვების გზებთან შედარებით. მე, ვფიქრობ, რომ 50/50-ზე სიტუაცია ისევ ძალაშია. ან სტატუსის მინიჭების კუთხით დადებით გადაწყვეტილებას მიიღებენ, ან გაგრძელდება ის უსამართლობა, რომელიც შარშან იყო დაშვებული ჩვენთან დაკავშირებით. ამიტომ აბსოლუტურად არასწორი მიდგომაა ამ ორ მოცემულობასა და შესაძლებლობას შორის განიხილავდე შენი ქვეყნის ხვალინდელ დღეს. არანაირი ზემოლოდინი, ან პანიკური დამოკიდებულება 8 ნოემბრის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ნამდვილად არ გამაჩნია. საქართველოს აქვს განვითარების ალტერნატიული გზა“,** – აცხადებს **ქართველიშვილი.**

**მისი თქმით, თუ ევროკავშირი ამ უსამართლობის ხაზს საქართველოსთან მიმართებაში წელსაც გააგრძელებს, ეს ნიშნავს, რომ ისინი კანდიდატის დონეზეც კი ვერ ხედავენ საქართველოს თავის ორგანიზაციაში, მაგრამ საქართველოს აქვს ძალიან საინტერესო სტრატეგიულ თანამშრომლობაზე ხელმოწერილი მემორანდუმი ჩინეთთან, რომლის უკან დგას ნახევარი პლანეტა 4-მილიარდიანი მოსახლეობით, თავისი ეკონომიკური, ენერგეტიკული, ფინანსური და საბანკო გეგმებით, რომელთა ნაწილი დაკავშირებულია მათ შორის საქართველოსთან როგორც უნიკალურ არა მხოლოდ დერეფანთან, არამედ გზაჯვარედინთან და რომელიც არა მხოლოდ აღმოსავლეთსა და დასავლეთს, არამედ ჩრდილოეთსა და სამხრეთს აკავშირებს ერთმანეთთან.**

**„ჩვენ იმდენი საქმე შეიძლება გაგვიჩნდეს და ისეთ საერთაშორისო პროექტებში მოგვიწიოს მონაწილეობის მიღება, რომ ის ორგანიზაცია, ის ოჯახი, რომელიც არ თვლის საჭიროდ ჩვენთან საქმე დაიჭიროს, თუნდაც საწყის ეტაპზე, რა გაეწყობა, ჩვენ განვვითარდებით იმ მიმართულებით, რომელიც საქართველოს სტაბილურობას და ეკონომიკურ აღმავლობას უფრო მოუტანს.**

**მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ პანიკური მოლოდინი შეიმჩნევა ე.წ. ოპოზიციურ ფლანგზე, ალბათობა, რომ ამ სტატუსს მაინც მოგვანიჭებენ, უფრო მეტია. პანიკა არის იქით. ჩვენ ვხედავთ ერთმანეთის ჩაძირვას, შეურაცხყოფას, დადანაშაულებას სხვადასხვა ცოდვებში, ეს მათი საქმეა, მაგრამ ჩვენ მშვენიერი ალტერნატიული გზა გვაქვს განვითარებისთვის, რაც არ გამორიცხავს იმას, რომ თუ მოგვანიჭებენ კანდიდატის სტატუსს, ეს არ იქნება ცუდი ქვეყნისთვის“,** – ამბობს ანალიტიკოსი.

როგორც ქართველიშვილი დასძენს, პირველ რიგში, ეს იქნება სამართიალობის აღდგენა და მეორე რიგში, ეს არის საქართველოს შელახული თავმოყვარეობის და ღირსების რეაბილიტაცია, რადგან იმ სამეულში, რომელშიც მოიაზრება უკრაინა, დსთ-ს წევრი ქვეყანა მოლდოვა და საქართველო, რომელიც აბსოლუტურად ყველა კრიტერიუმებით დაწყებული კორუფციით, დამთავრებული ადამიანის უფლებების დაცვით და სიტყვის თავისუფლებით, წინ უსწრებს ამ ქვეყნებს.

**„სირცხვილია იმ ორ სტატუსმინიჭებულ სუბიექტს ადარებდნენ სტატუსმიუნიჭებელ საქართველოს. ეს არის უსამართლობა და სირცხვილი. ამიტომ, ჩემთვის, პირველ რიგში, გადაჭარბებული მოლოდინების გარეშე, ეს იქნებოდა რეაბილიტაცია ჩვენი შელახული ღირსების, თავმოყვარეობის და სამართლიანობის აღდგენისა...**

**ბელადმა სააკაშვილმაც კი „ვივამედის“ კლინიკიდან ისეთი საკონტროლო გასროლა განახორციელა თავისიანების მიმართ – იმედია, ვერც ერთ მოქმედ დეპუტატს ვეღარ ვიხილავ მომავალ პარლამენტშიო. თქვენ წარმოიდგინეთ, რა დიდი სიხარულით მიიღებდნენ მის აი, ამ განცხადებას ისედაც ცხელ ომში გადასულები ერთმანეთთან – ეს ე.წ. ოპოზიციური ძალების საპარლამენტო წარმომადგენლები“,** – აღნიშნა For.ge-სთან საუბრისას **დავით ქართველიშვილმა.**

**თამთა ქარჩავა**




„ქართული ოცნების“ განახლებასა და ძველი, არაპოპულარული სახეების სულ სხვა სახეებით ჩანაცვლებას არაერთი ექსპერტი საშურ საქმედ მიიჩნევდა წლების განმავლობაში, თუმცა რა მოხდება მაშინ, თუკი „ქართული ოცნება“ თავის გარშემო შემოიკრებს „ხალხის ძალის“ მსგავს პარტიებს?!

## „ხალხის ძალის“ მსგავსი ჯგუფებისგან ახალი „ქართული ოცნება“ აღმოცენდება...




# პოლიტიკური „დივერსია“!

**ჯერ კიდევ ამ რამდენიმე თვის წინ დეპუტატი თაკო ჩარკვიანი ამტკიცებდა, რომ ბიძინა ივანიშვილი ახალ სატელიტურ პარტიას ქმნიდა ნაცების ყოფილი პრემიერის, ნიკა გილაურის ხელმძღვანელობით, რომლის გარშემოც ხატია დეკანოიძე და ნიკა მელია გაერთიანდებოდნენ. რატომ ნიკა გილაური? ამის შესახებ თაკო ჩარკვიანს ასეთი ახსნა ჰქონდა – გილაურს ფინანსური კავშირები ჰქონდა ივანიშვილთან, 240 მილიონს რომ გაჩუქებენ, როდესაც სურთ, მაშინ შეგაქმნევინებენ პარტიას. თუმცა თაკო ჩარკვიანის მოლოდინი არ გამართლდა, ნიკა გილაურმა მაშინვე უარყო პოლიტიკაში მობრუნება და დასძინა, რომ 10 წლის განმავლობაში არანაირი პოლიტიკური განცხადება და კომენტარი არ გაუკეთებია პოლიტიკურ თემაზე.**

გილაურის საკითხი რომ არ დადასტურდა, შემდეგ საუბრობდნენ იმაზე, რომ ივანიშვილი თავის ყოფილ ადვოკატ **ვიქტორ ყიფიანს** ამზადებდა თავის სატელიტად, ეჭვები გაამძაფრა იმანაც, რომ ყიფიანი პოლიტიკაში მობრუნებას არ გამორიცხავდა, სიტყვებით, „Never say never“.

შემდეგ უკვე პრეზიდენტ ზურაბიშვილს გაუვრცელეს, რომ ის ივანიშვილის დავალებებს ასრულებდა და პრეზიდენტობიდან გადადგომის შემდეგ ფსონი მასზე დაიდებოდა.

**რის საფუძველზე ჩამოყალიბდება ახალი „ქართული ოცნება“?**

პუბლიცისტი **დავით ჩხარტიშვილი** აცხადებს, რომ ახალ „ქართულ ოცნებას“ ჩვენ მივიღებთ ახალი იდეოლოგიის საფუძველზე, რომელიც ჯერჯერობით მინიშნებების დონეზეა და კრისტალიზდება.

დავით ჩხარტიშვილი იხსენებს „ქართული ოცნების“ სხვადასხვა პერიოდს, კერძოდ, დასაწყისში „ქართული ოცნების“ ახალი სახეები იყვნენ მემარცხენე იდეოლოგიის მატარებელი პარტიები – „რესპუბლიკელები“, ალასანიას პარტია, ანუ მკვეთრად პროამერიკული ძალები. იმ პერიოდში, ფაქტობრივად, ივანიშვილი იძულებული იყო, ამ ძალებზე დაედო ფსონი.

**„ჩვენ თუ გავითვალისწინებთ, რა გაუკეთეს მაგ ძალებმა ტრამპს თავად აშშში, ნუ გვიკვირს, რომ ივანიშვილს მოუწია ნაბიჯის გადადგმა და ერთგვარი თანამშრომლობა ამ ძალებთან, რათა სტრატეგიულ ჭრილში მერე მოეგო მათთვის თამაში. ტაქტიკურად ბიძინა ივანიშვილი სწორად მოიქცა, ალბათ, გახსოვთ, თავიდან როგორი კონტროლი იყო, ხან მაკკეინი ჩამოდიოდა, ასე ვთქვათ, ამერიკელი ქორები, ივანიშვილი გარკვეულ კონსენსუსზე, დათმობაზე რომ არ წასულიყო და ამ პარტიებთან არ გარიგებულიყო, ფიზიკურად შეუძლებელი იყო სააკაშვილის წინააღმდეგ ბრძოლა, ანუ ისინი მოქმედებდნენ სომოსას პრინციპით – „სომოსა შეიძლება ძაღლიშვილი იყოს, მაგრამ ის ჩვენი ძაღლიშვილია“. ამიტომაც ბიძინა ივანიშვილმა ამერიკელებს შესთავაზა პატარა ძაღლიშვილები მემარცხენე იდეოლოგიური და მკვეთრად პროამერიკული პარტიების სახით თავის კოალიციაში, რაც ნელ-ნელა ჩამოიშორა და სულ უფრო იხრება იმისკენ, რომ ჩამოყალიბდეს კონსერვატიული, ტრადიციული ღირებულებებისკენ, რომ თვითკმარი დემოკრატია აშენდეს საქართველოში“, - აცხადებს დავით ჩხარტიშვილი და, შეკითხვის საპასუხოდ, ახლა ვისზე დადებს ფსონს ივანიშვილი, განმარტავს, რომ, სავარაუდოდ, „ხალხის ძალის“ მსგავსი ბევრნაირი ჯგუფი გაჩნდება საქართველოში, რომლებიც გარეთ დარჩენილი სხვა ანტიმიშისტური მოძრაობების ბირთვად შეიძლება იქცეს“.**

პუბლიცისტი არც იმას გამორიცხავს, რომ ივანიშვილის მსგავსი კიდევ ბევრი ადამიანი გამოჩნდეს ქართულ პოლიტიკაში. ეს კი ნიშნავს, რომ ქართული პოლიტიკა მოსაწყენი და ორი არჩევანის ამარა დატოვებული არ იქნება.

დავით ჩხარტიშვილის აზრით, დღეს უკვე პირობითად უნდა ვთქვათ სიტყვა „ნაცები“, რადგან „ნაცები“ უკვე დეგრადირებულნი არიან და არანაირ საშიშროებას აღარ წარმოადგენენ, უფრო მეტ საშიშროებას წარმოადგენს მსოფლმხედველობრივი „ნაცობა“, რომელიც თავად „ოცნებაშია“ ჩაბუდებული, უამრავი „ნაცია“ ასეთი, დეტალიზება რომ არ მოხდეს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პრობლემურია საკადრო საკითხი – კვირიკაშვილი, გახარია, პრეზიდენტი ზურაბიშვილი.

**„წარმოიდგინეთ, უმაღლეს ეშელონებში რა მსოფლმხედველობისა და მიდრეკილების ხალხი იკავებდა თანამდებობებს და ეს მაშინ, როცა ამდენი ფილტრი არსებობდა. თანაც, არ შეიძლება თუნდაც ივანიშვილის ხათრით ხალხი ხმას აძლევდეს ზურაბიშვილს და მისთანებს. წამოაძახეს კიდეც ზურაბიშვილს, ჩვენ რომ არა, ვინ მოგცემდა ხმასო. ცხადია, ეს ასეა, მაგრამ რატომ მაიძულებ ისეთ ადამიანს მივცე ხმა შენი ხათრით, რომელსაც შენ რომ არა, საერთოდ არავინ მისცემდა ხმას. ასე რომ, მიდგომები საკადრო პოლიტიკის მიმართ უნდა შეიცვალოს. ასევე, საგარეო პოლიტიკის მიმართ მიდგომა უნდა შეიცვალოს, ჩვენ არ უნდა შეგვეშინდეს, რომ ვიღაც ფანატიკოსი „ნაცი“ გამოხტება და „რუსეთუმეებოს“ დაგვიძახებს, ამოსავალი უნდა იყოს პროქართულობა და საქართველოს ინტერესები“,** – მიიჩნევს **დავით ჩხარტიშვილი**, რომლის აზრითაც, **ფაქტობრივად, ღარიბაშვილი თეთრი ყვავივითაა იმ ფონზე, რასაც წარმოადგენს „ქართული ოცნება“, რომელიც კოალიციის დროიდან ასე კომპლექტდება, ჩამოყალიბებული, მკვეთრი იდეოლოგიის გარეშე.**

**სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ მსოფლმხედველობრივად „ნაცებმა“ და მათთან აფილირებულმა ძალებმა შეაღწიეს „ოცნებაში“ და, ფაქტობრივად, დივერსიული მუშაობით არიან დაკავებულნი.**

**მანანა ნოზაძე**

# ევროკავშირის სტატუსის მონიჭებას გამოიყენებენ თუ არა ციხიდან სააკაშვილის გამოსახსნელად?!

**თუკი რუსეთი საქართველოში იმარჯვებს, როგორც ოპოზიციონერებს სურთ წარმოაჩინონ, ვისი დამსახურებაა ეს? დასავლეთმა რა გააკეთა ჩვენს დასაახლოებლად? ევროპამ კანდიდატის სტატუსიც კი ვერ გამოიმეტა ჩვენთვის მაშინ, როცა საქართველომ, ანუ პირველი ევროპელების ქვეყანამ, არაერთი ნაბიჯი გადადგა დღევანდელ ევროპასთან დასაახლოებლად. მხოლოდ მსოფლიო წესრიგის დასამყარებლად საქართველომ კონტრიბუციის სახით ყველაზე ფასეული-ადამიანთა სიცოცხლე გაიღო, რაც ნატოს არაწევრი ქვეყნისთვის ზედმეტი ტვირთია.**

თუ რაში გამოვიყენებთ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს, ამის შესახებ საქართველოში სხვადასხვა მოსაზრებებია. ყველაზე ნიჰილისტურით დავიწყოთ, რომ ეს სტატუსი არაფრის მომცემია და არც მატერიალურ პრივილეგიებს ითვალისწინებს. კიდევ ერთი ვერსიაა, რომ პრაგმატული დასავლეთი ამ სტატუსს უმიზეზოდ არ გამოიმეტებს და ერთადერთი მიზეზი, რის გამოც შეიძლება სტატუსი მოგვცენ, არის ის, რომ ამის მერე უფრო ადვილად გადაგვადგმევინონ ნაბიჯები, მაგალითად, რუსეთისთვის სანქციების დაწესება მოგვთხოვონ, ყოველ შემთხვევაში, კანდიდატის სტატუსის მოცემის ამ ვერსიას განიხილავს უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი **სოზარ სუბარი**.

ექსპერტებს ახსენდებათ, რომ ასეთივე გადაჭარბებული მოლოდინი იყო საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის დროსაც, რომელიც „შალახოს“ ფონზე მიმდინარეობდა.

პუბლიცისტი **დავით ჩხარტიშვილი** მიიჩნევს, რომ თვითონ ეს კლიშეა შემოგდებული, რომ თითქოს „რუსეთი იმარჯვებს“, „რუსეთუმეები იმარჯვებენ“. პუბლიცისტის თქმით, ფრენსის ბეკონს აქვს „გონების ხატები“, გონების ხატში ადამიანის აზრს თუ მიმართავ, ეს მოწყვეტილი იქნება იმ რეალურ საკითხებს, რაც ჩვენ ირგვლივ ხდება, ანუ ადამიანის გონება წარმოსახვებით ივსება. ამდენად, ევროკავშირის წევრობის არაფრისმთქმელი სტატუსი, ლამის, იგივეა, როცა მოგვანიჭეს ასოცირების ხელშეკრულება.



**„ასოცირების ხელშეკრულებით რამე დაეტყო ჩვენს ქვეყანას? უბრალოდ, ასოცირების ხელშეკრულებით გაძლიერდნენ, პირობითად რომ ვთქვათ, ევროატლანტიკური ძალები.**

დღესაც ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის შესახებ დისკურსი იმისთვის სჭირდებათ, რომ სხვა აზრი არ გაჩნდეს, რომ არ გამოჩნდეს ქვეყნის მოწესრიგების სხვა პროექტი. რომც მივილტვოდეთ, ან არ მივილტვოდეთ ევროკავშირისკენ, ეს ცარიელი სიტყვებია, რომელსაც რეალპოლიტიკასთან საერთო არ აქვს. არ დამავიწყდება, **„შალახოს“ თანხლებით ასოცირების ხელშეკრულებას ხელი რომ მოაწერეს, ერთ-ერთ „ნაცურ“ არხზე პოეტი რატი ამაღლობელი გამოდიოდა წამყვან გოგონასთან ერთად, ეგზალტირებული იყო ამ ყველაფრით და ამბობდა, დღეიდან სამტრედიელი გავშვები ლუვრში ივლიან ექსკურსიებზე და ჩხოროწყუში მცხოვრები გავშვები რომ დაამთავრებენ სკოლას, კემბრიჯში ისწავლიანო. წამყვანიც აღფრთოვანებული ტაშს უკრავდა, ალილუია, აღსრულდა ქართველთა მრავალსაუკუნოვანი ოცნება. არის თუ არა ეს კრეტინიზმი, რამე კავშირი აქვს ამას რეალობასთან? თუკი ამ ჭრილში შევხედავთ ევროკავშირის სტატუსსაც, შედეგი აქაც იგივეა. ამ სტატუსს გამოიყენებენ კონკრეტული ძალების გასაძლიერებელ მექანიზმად, თუნდაც სააკაშვილის გამოსაშვებად ციხიდან, რომელიც ზის არა იმისთვის, რისთვისაც უნდა იჯდეს, არამედ ფინანსური დარღვევის გამო. სინამდვილეში, სააკაშვილი უნდა იჯდეს უპასუხისმგებლობისთვის, უნდა იჯდეს იმისთვის, რომ უბნის ყოჩივით მოიქცა და არ შეხედა მის უკან უამრავ ადამიანს, ავანტიურაში ჩართო ქვეყანა, იმ ავანტიურაში, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ შეერთებული შტატების ინტერესში იყო“...**

ანალიტიკოს **ედიშერ გვენეტაძის** აზრით, ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მონიჭება საქართველოსთვის ბევრს არაფერს შეცვლის, ეს მხოლოდ და მხოლოდ იმისთვისაა გამიზნული, რომ საქართველოში გარკვეულ ძალებს რევოლუციის მოხდენა უნდოდათ, რაც არ გამოუვიდათ და ახლა ეს სტატუსი იმისთვისაა, რომ მოკლეზე ჰყავდეთ საქართველო დაბმული, როცა გაუხარდებათ, აუშვან, როცა დასჭირდებათ, ჯაჭვი თავისკენ მისწიონ:

**„ვინმემ მითხრას, რით არის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი თუნდაც ერთი წინგადადგმული ნაბიჯი, რომ ეს აისახოს საქართველოს ეკონომიკაზე, პოლიტიკაზე, სოციალ-ეკონომიკურ განვითარებაზე? ამ სტატუსს უანგაროდ არავინ იძლევა, უამრავ ვალდებულებას გვაკისრებენ, სანაცვლოდ არავითარ პასუხისმგებლობას არ კისრულობენ. ასე მოხდა ასოცირების ხელშეკრულების დროსაც. ასოცირების ხელშეკრულება როცა გაფორმდა, ამ ხელშეკრულებაში ყველაზე მეტად მომეწონა უვიზო მიმოსვლა, თუმცა ასოცირების ხელშეკრულებაც და ევროკავშირის კანდიდატის სტატუსიც უნდა იგრძნოს ქართველმა უბრალო გლეხმა თავისი პროდუქციის გატანასა და ოჯახში შემოსავლის მატებაზე“...**

**მანანა ნოზაძე**

# ყარაბაღი აზერბაიჯანია!

**საუკუნეების განმავლობაში აზერბაიჯანელი ხალხი მრავალი ისტორიული დღის მომსწრე ყოფილა, მტკივნეულ პერიოდებთან ერთად ქვეყანას საამაყო და მხიარული წუთებიც ჰქონდა. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ სამამულო ომში მოპოვებული დიდებული გამარჯვება არის ჩვენი ისტორიის ყველაზე ნათელი ფურცელი, ჩვენი გმირული მატიანე, რომლითაც ყოველთვის იამაყებენ დღევანდელი და მომავალი თაობები.**

**აზერბაიჯანმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა 44 დღეში და დაამარცხა სომხეთი, დაასრულა ოკუპაცია. ამ 44 დღის ყოველი დღე ჩვენი დიდებული ისტორიაა!!!**

**ილჰამ ალიევი,**

**აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი**




გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს მსოფლიოსა და განსაკუთრებით რეგიონში გეოპოლიტიკური ვითარება გართულდა, რასაც თან ახლდა აზერბაიჯანისთვის ყარაბაღის ირგვლივ დაწყებული მღელვარე მოვლენები და მეზობელი სომხეთის უსაფუძვლო პრეტენზია ამ ისტორიულ ტერიტორიაზე. სომხეთმა ისარგებლა თავისი უცხოელი მფარველების მხარდაჭერითა და რეგიონში არსებული არეულობით და დაიწყო სამხედრო აგრესია აზერბაიჯანის წინააღმდეგ. ყარაბაღის პირველი ომის დროს, რომლის შედეგადაც ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობა დაირღვა, აზერბაიჯანი იძულებული გახდა დაეკარგა მიწის 20 პროცენტი, დაახლოებით 1 მილიონი ჩვენი მოქალაქე დევნილი გახდა საკუთარი სამშობლოში. მიუხედავად ჯარში მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობისა და ერთიანი ხელმძღვანელობის არარსებობისა, ჩვენი სამშობლოს მამაცი შვილები სისხლის ბოლო წვეთამდე იბრძოდნენ აზერბაიჯანის სუვერენიტეტისთვის. მათ სიცოცხლე შესწირეს ჩვენი მიწების ხელშეუხებლობას.

ჩვენი ტერიტორიების დაკარგვა ამ ომში, რომელიც განსაკუთრებული სისასტიკით იქნა ჩადენილი აზერბაიჯანელი ხალხის წინააღმდეგ და ჩვენს მეხსიერებაში მასობრივი მკვლელობებითა და გენოციდით აღიბეჭდა, ასევე გამოწვეული იყო აზერბაიჯანის იმ-



ჟამინდელი პოლიტიკური ხელმძღვანელობის არაკომპეტენტურობით, მისი უუნარობით. 1991-1993 წლებში რესპუბლიკაში ქაოსმა, ანარქიამ და პოლიტიკურმა კრიზისმა ქვეყანა სამოქალაქო ომისა და ახლადმოპოვებული დამოუკიდებლობის დაკარგვის საფრთხის წინაშე დააყენა.

1993 წლის ივნისში აზერბაიჯანელი ხალხის დიდმა ლიდერმა ჰეიდარ ალიევმა, რომელიც ხალხის სურვილითა და დაჟინებით მეორედ დაბრუნდა პოლიტიკურ ხელისუფლებაში, თავისი წინდახედულობის, ღრმა ინტელექტის, რკინის ნებისყოფისა და გამოცდილების წყალობით, შეძლო ქვეყნის დაცვა. 1994 წლის მაისში ეროვნული ლიდერის უპრეცედენტო ძალისხმევითა და შრომისმოყვარეობით ქვეყანაში სოციალური და პოლიტიკური სტაბილურობა დამყარდა სომხეთთან ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შემდეგ. მოკლე დროში მიღებული გონივრული პოლიტიკური გადაწყვეტილებებითა და განხორციელებული მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმებით, ჰეიდარ ალიევის ხელმძღვანელობით აზერბაიჯანი მშვიდობისა და სიმშვიდის პირობებში მდგრადი განვითარების გზაზე შედგა.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, ბატონმა ილჰამ ალიევმა წარმატებით გააგრძელა ეროვნული ლიდერის ჰეიდარ ალიევის მიერ დაწყებული პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმები. იგი მრავალი წლის განმავლობაში ოსტატურად და მაღალპროფესიულად ახორციელებდა დიპლომატიურ მოღვაწეობას. სომხეთ-აზერბაიჯანის, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის, ჩვენი მოქალაქეების მშობლიური მიწებიდან გაძევების და იძულებით გადაადგილებულ პირებად გადაქცევის შედეგებზე საუბრობდა მსოფლიოს სხვადასხვა ამბიონებიდან.

ბოლო წლებში, გარდა საერთაშორისო სამართლის ნორმების საწინააღმდეგო, დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენისა, სომხეთის ხელმძღვანელობის საომარი მოწოდებები გახშირდა! სომხეთის ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრის წარმოთქმულმა სიტყვამ, რომ „ყარაბაღი არის სომხეთი და წერტილი", ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა აზერბაიჯანი.

ჩვენმა ხალხმა ირწმუნა თავისი პრეზიდენტისა და მთავარსარდალის, რომელმაც ოკუპანტი ქვეყნის პრემიერ-მინისტრის გამოსვლებს შემდეგნაირად უპასუხა: „ყარაბაღი აზერბაიჯანია და ძახილის ნიშანი"!!! 2020 წლის 27 სექტემბერს ჩვენი ხალხის 30-წლიანი მოთმინების ფიალა სრულიად აავსო. აზერბაიჯანულმა არმიამ, ჩვენი შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის ხელმძღვანელობით, დაიწყო კონტრშეტევითი ოპერაცია – სამამულო ომი, რომელსაც აზერბაიჯანის სახელმწიფოს მეთაურმა „რკინის მუშტი" უწოდა. სულ რაღაც 44 დღეში, ჩვენი გმირი შვილების მამაცობისა და ვაჟკაცობის წყალობით, აზერბაიჯანულმა არმიამ წარმატებით დაასრულა ისტორიული მისია და მტერი მუხლებზე დააჩოქა. ხოლო 8 ნოემბერს ომი ლოგიკურად დასრულდა ქალაქ შუშას გათავისუფლებით, რომელიც ყოველი აზერბაიჯანის საამაყო ადგილია და სომხეთი იძულებული გახდა ხელი მოეწერა კაპიტულაციის აქტზე. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა ხალხის წინაშე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა: „მოხარული ვარ, რომ დღეს ამ სასიხარულო ამბავს ვაცნობ აზერბაიჯანის ხალხს. მჯერა, რომ ერთ-ერთი ამ დეკლარაციის ხელმოწერის მიზეზი არის ჩვენი ბრწყინვალე გამარჯვება, ჩვენი ისტორიული გამარჯვება, ქალაქ შუშას ოკუპაციისგან გათავისუფლება, შუშა არის ყარაბაღის გვირგვინი! მის განთავისუფლებას აქვს დიდი პოლიტიკური, დიდი სტრატეგიული და ამავე დროს ძალიან დიდი სულიერი მნიშვნელობა. ჩვენ დავბრუნდით შუშაში, ჩვენ ვიცხოვრებთ შუშაში და სიცოცხლე გაჩნდება ყველა სხვა ოკუპაციისგან გათავისუფლებულ მიწებზე, ხალხი დაბრუნდება იმ მიწებზე, იცხოვრებს იქ, ჩვენი ხალხის 30-წლიანი მონატრებაა ჩადებული ამ მიწა-წყლის დაბრუნებაში".

ჩვენი მთავარსარდლის სიტყვებმა, რომელმაც სათანადოდ შეასრულა დიდი წინამძღოლის ნება, მთელ მსოფლიოს აუწყა შუშის გათავისუფლების ამბავი ჩვენს წმინდა ადგილას, მოწამეთა ხეივანში. პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა ერისადმი მიმართვაში თქვა: „დღეს მეც ვესტუმრე დიდი ლიდერის ჰეიდარ ალიევის საფლავს და ქედს ვიხრი მისი სულის წინაშე. გულში ვთქვი, ბედნიერი კაცი ვარ, რომ შევასრულე მამის ანდერძი. გაათავისუფლეს შუშა, ეს დიდი გამარჯვებაა, დღეს ბედნიერია ეროვნული ლიდერის სული! გილოცავ, ჩემო ქვეყანავ! გილოცავთ მსოფლიოს აზერბაიჯანელებო!

საზოგადოების წარმომადგენლებთან, ლტოლვილებთან და იძულებით გადაადგილებულ პირებთან შეხვედრისას ჰეიდარ ალიევი ყოველთვის გამოხატავდა ღრმა რწმენას, რომ გამარჯვების დღე შორს არ არის, რომ ჩვენი დაკარგული მიწები განთავისუფლდება ოკუპაციისგან, რომ ჩვენი მოქალაქეები მალე დაბრუნდებიან ამ ტერიტორიებზე.

ომის მსვლელობისას ჩვენმა არმიამ, რომელმაც გაათავისუფლა ჯაბრაილი, ფუზული, ზანგილანი, გუბადლი, შუშა, ოთხი დასახლებული პუნქტი, 300-მდე სოფელი და არაერთი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სიმაღლე მტრისგან, საფუძველი ჩაუყარა ახალ სამხედრო სტრატეგიას.

2020 წლის ნოემბერსა და დეკემბერში აზერბაიჯანში აღდამის, ქალბაჯარისა და ლაჩინის რაიონების დაბრუნების შემდეგ, მიმდინარე წლის 26 აგვისტოს, ქალაქ ლაჩინის, სოფლების ზაბუხისა და სუსის აზერბაიჯანის არმიის კონტროლის ქვეშ გადაცემა მოხდა. ეს იყო ჩვენი სახელმწიფოს მეთაურის მორიგი დიპლომატიური გამარჯვება მტერზე და მისი წარმატებული პოლიტიკური კურსი.

## ყარაბაღის მეორე ომი

**27 სექტემბერს ყარაბაღში აზერბაიჯანის არმიის მიერ პრეზიდენტის ხელმძღვანელობით დაწყებული ფართომასშტაბიანი და წარმატებული კონტრშეტევითი ოპერაციების შედეგად 9 ნოემბრამდე ოკუპაციისგან 5 ქალაქი, 4 დაბა და 286 სოფელი გათავისუფლდა.** 44 დღის განმავლობაში გათავისუფლდა ქალაქი ჯაბრაილი და რაიონის 90 სოფელი, ქალაქი ფუზული და რაიონის 53 სოფელი, ქალაქი ზანგილანი, მინჯივანი, აღბანდი, ბართაზის დასახლებები და რაიონის 52 სოფელი, ჰადრუტის დასახლება და ხოჯავანდის რაიონის 35 სოფელი, თათრის რაიონის 3 სოფელი, ქალაქი გუბადლი და 41 სოფელი, ხოჯალის რაიონის 9 სოფელი, ქალაქი შუშა, ლაჩინის რაიონის 3 სოფელი, ასევე რამდენიმე სტრატეგიული სიმაღლე აღდარასა და მუროვდაგის მიმართულებით და ბართაზის, სიღირთის, შუქურათაზის სიმაღლეები და კიდევ 5 უსახელო სიმაღლე.

აზერბაიჯანმა წარმატებული და ფართომასშტაბიანი კონტრშეტევითი ოპერაციების ჩაატარებისას გამოიყენა თავისი ტერიტორიების განთავისუფლების უფლება, ხელმძღვანელობდა საერთაშორისო სამართლის პრინციპებით, განსაკუთრებით გაეროს წესდების 51-ე მუხლით. შედეგად, 4 ოქტომბერს ქალაქ ჯაბრაილის, 17 ოქტომბერს ქალაქ ფუზულის, 20 ოქტომბერს ქალაქ ზანგილანისა და 25 ოქტომბერს ქალაქ გუბადლის განთავისუფლებით, აზერბაიჯანის სახელმწიფომ შეასრულა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები №874 და 884.

44-დღიანი სამამულო ომის შედეგად, რომელსაც მოჰყვა აზერბაიჯანის სამხედრო-დიპლომატიური გამარჯვება, 20 ნოემბერს აღდამის და 25 ნოემბერს ქალბაჯარის ოკუპაციისგან განთავისუფლებამ განაპირობა 2020 წლის 10 ნოემბერს ხელმოწერილი სამმხრივი დეკლარაციის შესაბამისი მუხლის შესრულება, ასევე კონფლიქტის სამხედრო-პოლიტიკური გადაწყვეტა.

გარდა ამისა, აზერბაიჯანის პირობებით განხორციელდა გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ 1993 წელს მიღებული 822 და 853 რეზოლუციები, რომლებიც შეუსრულებელი დარჩა 27 წლის განმავლობაში, ასევე საოკუპაციო ძალების გაყვანა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქალბაჯარისა და აღდამის რაიონებიდან. ამის გაგრძელებად, სამმხრივი დეკლარაციის შესაბამისი მუხლის მიხედვით, 2020 წლის 1 დეკემბერს ლაჩინის რეგიონიდან სომხეთის შეიარაღებული ძალების გაყვანა განიხილება აზერბაიჯანის სამხედრო და დიპლომატიური წარმატებებად.

2023 წლის 19-20 სექტემბერს, ადგილობრივი ანტიტერორისტული ღონისძიებების შედეგად, აზერბაიჯანმა აღადგინა ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი და შექმნა მყარი საფუძველი სამხრეთ კავკასიის რეგიონში მშვიდობის დამყარებისთვის. 2023 წლის 15 ოქტომბერი ისტორიაში შევიდა, როგორც კიდევ ერთი დიდებული დღე. მთავარსარდალმა, პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა აღმართაში, ხოჯალიში, ასკარანში, ხოჯავანდსა და ხანკენდში აღმართა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეროვნული დროშა.

შედეგად, ყარაბაღის მეორე ომი აზერბაიჯანის ისტორიაში დაიწერა, როგორც ბოლო ასი წლის განმავლობაში პატივისა და გმირობის მატიანე. დღეს ჩვენი სამფეროვანი დროშა ამაყად ფრიალებს აზერბაიჯანის ყველა გათავისუფლებულ ტერიტორიაზე!

აღსანიშნავია, რომ ყარაბაღის მეორე ომის შემდეგ აზერბაიჯანის სახელმწიფომ გაათავისუფლა თავისი საგვარეულო მიწები ოკუპაციისგან და აღადგინა ყარაბაღის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, რომელიც განზრახ დაირღვა 100 წლის წინ – 1923 წელს. აზერბაიჯანის პრეზიდენტის მიერ 2021 წლის 7 ივლისს ხელმოწერილი ბრძანებულებით შეიქმნა ყარაბაღისა და აღმოსავლეთ ზანგეზურის ეკონომიკური რეგიონები და აღდგა ისტორიული სამართლიანობა.

დღეს პრეზიდენტის ილჰამ ალიევის ხელმძღვანელობით, თანამედროვე და დამოუკიდებელი აზერბაიჯანი განვითარების ყველაზე ძლიერ პერიოდს განიცდის. ჩვენს ისტორიაში ოქროს ასოებით დაწერილმა სამამულო ომმა მთელ მსოფლიოს აჩვენა, თუ რამდენად ურყევია აზერბაიჯანი, ჩვენი ხალხის მონდომება და სოლიდარობა. როგორც სახელმწიფოს მეთაურმა თქვა, ჩვენ ეს მიწები მოლაპარაკების გზით კი არ დავიბრუნეთ, არამედ ჩვენი მოწამეების სიცოცხლისა და სისხლის ფასად. თითოეული ჩვენგანი ვალშია ჩვენი მოწამეების, ომის მონაწილეთა წინაშე.

აზერბაიჯანის მოსახლეობა დიდი სიხარულითა და სიამაყით აღნიშნავს 8 ნოემბრის მორიგ წლისთავს, რომელიც სამი წლის წინ იყო ყველაზე დიდებული დღე ქვეყნის ისტორიაში. ეს დღე პრეზიდენტ ილჰამ ალიევის მიერ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში გამარჯვების დღედ გამოცხადდა. უზენაესი მთავარსარდლის ხელმძღვანელობით მოპოვებული ამ გამარჯვებით აზერბაიჯანელმა ხალხმა მთელ მსოფლიოს აჩვენა, რომ ის ძლიერი ერია და რომ აზერბაიჯანის სახელმწიფო არის გამარჯვებული სახელმწიფო!

**ვაჰიდ ალიევი,**

**აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ყოფილი თანაშემწე თავდაცვის საკითხებში, თადარიგის გენერალ-ლეიტენანტი**



# საქართველო ლონდონის WTM 2023 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზეა




**საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია დიდ ბრიტანეთში, ლონდონში მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს ტურისტულ გამოფენაზეა წარმოდგენილი.**

WTM ლონდონ 2023 გამოფენაში ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან ერთად 20-მდე ტურისტული კომპანია და სასტუმრო მონაწილეობს. გამოფენაზე თბილისის მერია, იმერეთის, სამეგრელოს, სვანეთისა და სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციებია წარმოდგენილი.

**„მსოფლიოში ერთ-ერთ უმსხვილეს ტურისტულ გამოფენაზე, 3 დღის განმავლობაში, საქართველო წარმოდგენილია საკმაოდ დიდი სტენდით. ლონდონის გამოფენაში ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ტურისტულ კომპანიებთან და სასტუმროებთან ერთად მონაწილეობს. აღსანიშნავია, რომ ჩვენთან ერთად იმყოფებიან თბილისის მერია, დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციები. გამოფენის ფარგლებში შესაძლებლობა გვაქვს მთელ მსოფლიოს გავაცნოთ ჩვენი ქვეყანა, როგორც საინტერესო ტურისტული მიმართულება, ქართული ბიზნესის წარმომადგენლებს საშუალება აქვთ იპოვონ პარტნიორები და დაამყარონ საქმიანი ურთიერთობები“,** – განაცხადა მაია ომიაძემ.

WTM London 2023 გამოფენაში 185-ზე მეტი ქვეყნის 4 ათასი ტურისტული კომპანია და ორგანიზაცია მონაწილეობს. გამოფენას ტურიზმის სფეროს 35 ათასზე მეტი პროფესიონალი ესწრება.

# გორში უფასო სამედიცინო კვლევები გრძელდება




**გორის მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსებით შეძენილი სამედიცინო ტექნიკით მოსახლეობის უფასო სამედიცინო კვლევები გრძელდება.**

მოძრავი მამოგრაფიის სერვისი ნიქოზის პირველადი ჯანდაცვის ცენტრის მედიკოსებმა ამჯერად შინდისში მცხოვრებ მოსახლეობას შესთავაზეს. მათ მსურველებს სხვადასხვა სახის კვლევები ადგილზე უფასოდ ჩაუტარეს. ღონისძიებას გორის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე თამაზ შიოშვილი და სოციალური სამსახურის ხელმძღვანელი დიანა ბერიძე ესწრებოდნენ. მათ მოსახლეობასთან ისაუბრეს მოძრავი სკრინინგცენტრის აუცილებლობაზე და დაავადების ადრეული დიაგნოსტიკის მნიშვნელობაზე.

# ერთობლივი საველე სწავლება „დიდგორი 2023“

**უწყებათშორისი სამეთაურო-საშტაბო სწავლება „დიდგორი 2023-ის“ ფარგლებში სპეციალური ოპერაციების ძალების აღმოსავლეთის ბატალიონმა და შსს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის სწრაფი რეაგირების სამმართველოს ქვედანაყოფმა ერთობლივი წვრთნა ჩაატარა.**

სიმულაციური სცენარის მიხედვით შექმნილ კრიზისში თავდაცვის ძალებისა და შსს ქვედანაყოფებმა კოორდინირებულად იმოქმედეს და ეფექტიანად შეასრულეს დასახული ამოცანა. ერთობლივ წვრთნებში მონაწილეობდა ქართული წარმოების „დიდგორი“ და „დიდგორი მედევაკი“, რომელმაც დაჭრილის ევაკუაცია განახორციელა. შსს-ს დაშავებული წარმომადგენლის საჰაერო ევაკუაციაში კი, თავდაცვის ძალების ახლად მოდერნიზებული ბრ-1რ იროკეზის ტიპის შვეულმფრენი ჩაერთო. საველე წვრთნაში მონაწილეობდა შსს-ს ტექნიკაც.

უწყებათშორისი სწავლება მიზნად ისახავს კრიზისული და საომარი ვითარების დროს სამთავრობო უწყებებს შორის კოორდინაციის გაღრმავებასა და ურთიერთქმედების დახვეწას.



# სადაც შენ დაიმარხე, შენი მთაწმინდაც იქ არის!



**ვილენ მარდალეიშვილი...**

**გაგიძნელდებათ, იპოვოთ კაცი, რომელსაც პატარა შეხებაც თუ ჰქონია ქართულ ჟურნალისტიკასთან და მწერლობასთან, არ სმენოდეს ეს სახელი და გვარი. თუ არსებობენ სახალხო მწერლები და პოეტები, თუ არსებობენ კოლორიტები, არსებობენ სახალხო ჟურნალისტებიც და მათ შორის ერთ-ერთი უპირველესი ჩვენი ვილენ მარდალეიშვილი გახლდათ. დიდ მწერლებსა და მხატვრებს არამარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოშიც გარდაცვალების შემდეგ უფრო სცემენ პატივს, ზოგიერთი კი, ვინც სიცოცხლეში განუდიდებიათ, მივიწყებას მისცემია. ვილენი სხვა იყო, გამორჩეული, თვითნაბადი ნიჭით, არც სიცოცხლეში დაჰკლებია პატივი და დიდება, და არც გარდაცვალების შემდეგ ივიწყებენ, უფრორე ასაკოვანი ადამიანები, რადგან სწორედ მათთვის იყო ვილენ მარდალეიშვილი „სახალხო ჟურნალისტი“.**

ბევრი ასაკში შესვლისას იწყებს მემუარების წერას, ჩამოაწიკწიკებს თავის ბიოგრაფიას, ცხოვრების გზას ლამაზად დახატავს. ეს საჭიროც არის და აუცილებელიც, რადგან არა მარტო ავტორს (უნდა თუ არა თავად), არამედ იმ ხალხსაც ეცნობი, ვისზეც საუბრობს იგი. ჩვენს უფროს კოლეგას არასოდეს წაჰკვრია კალამი მემუარული სტილისკენ. არადა, ხელეწიფებოდა თავისი უნიკალური მახსოვრობითა და განვლილი ცხოვრებიდან გამომდინარე.

ვილენ მარდალეიშვილმა თავად ჩვენ დაგვიტოვა, მეგობრებს, კოლეგებსა და „ვილენისტებს“ იმდენი მოგონება მის ცხოვრებაზე, რომ გინდა-არ გინდა ასაკში შესვლისას რომ შენს თავზე დაწერო რამე, ვილენს გვერდს ვერ აუვლი.

გამომცემლობა „სამშობლოში“ ვილენ მარდალეიშვილის ოთახი ყველა ცნობილი ადამიანისათვის შინაური და ყოველდღიური საფიქრალ-სადარდელისგან განსაქარვებელი ოაზისი იყო. ბედნიერება მხვდა წილად, რომ რამდენიმე წელი გვერდიგვერდ მაგიდებთან ვმსხდარიყავით და კარგად შემეცნო ეს ადამიანი, რომლის სახელიც ჩემს ჟურნალისტიკაში მოსვლამდე მსმენოდა.

ვის არ ნახავდით და გაიცნობდით ამ მყუდრო ოთახში – ცნობილ მწერლებსა და მეცნიერებს, კულტურის მოღვაწეებს, ცნობილ სპორტსმენებსა და ინტელიგენციის წარმომადგენლებს. „საქართველოს რესპუბლიკა“ და მანამდე გაზეთი „კომუნისტი“, სადაც ვილენ მარდალეიშვილმა ჟურნალისტიკაში ფეხის ადგმისთანავე დაიწყო მოღვაწეობა (როგორც ყველას, მოგეხსენებათ, იმდროინდელი წყობიდან გამომდინარე), ნაკლებად ცნობილ ადამიანებს არ სწყალობდა. ვილენ მარდალეიშვილი კულტურის განყოფილებას კურირებდა და სწორედ ამიტომ უხდებოდა ურთიერთობა ჩვენი, ქართული კულტურის კორიფეებთან.

აქ, ამ ოთახში, გავიცანი და შემდეგ დავუმეგობრდი კიდეც შოთა ნიშნიანიძესა და ზაურ ბოლქვაძეს, მურმან ლებანიძესა და ლევან სანიკიძეს, თენგიზ არჩვაძესა და ზურა ქაფიანიძეს, ოტია იოსელიანს და ფრიდონ ხალვაშს, უამრავ მომღერალსა და ქორეოგრაფს, თბილისის კოლორიტებსა და დამსახურებულ ქართველებს. მას შემდეგ, რაც ვილენის ოთახში კოია გომართელმა „დაიდო ბინა“, ეს წრე კიდევ უფრო გაიზარდა და გაფართოვდა.

შესანიშნავი დეკლამატორიც გახლდათ ვილენი, თავისი მახსოვრობის წყალობით მთელი ქართული პოეზია იცოდა, ქართული კლასიკიდან იმხელა ციტატებს „მოიხმობდა“, გაგიკვირდებოდა, რამ დაამახსოვრებინა ეს ყველაფერიო. უფრო მეტიც, ვილენ მარდალეიშვილი იმ თითზე ჩამოსათვლელ ქართველებს შორის იყო, ვინც ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსანი“. ერთ რამედ ღირდა მაგიდასთან შეკრებილი **ვილენის, შოთა ხოდაშნელის** (ჩვენი გაზეთის თანამშრომლისა და შესანიშნავი პოეტის) და **სოკრატ სალუქვაძის** (ცნობილი წამალთმცოდნისა და თბილისის კოლორიტის) პაექრობა უკვდავი რუსთაველის ქმნილების ცოდნაში. ნებისმიერ სტროფს დაიწყებდა ერთი, აგრძელებდა მეორე და ასრულებდა მესამე. ასე გრძელდებოდა ერთი საათი მაინც. სამივე „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირადმცოდნეები იყვნენ. ვილენს იქვე გაკრული ჰქონდა ბაბუის, ვლადიმერ მარდალეიშვილის პორტრეტი, რომელიც ასევე „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად მცოდნე და უბადლო დეკლამატორი ყოფილა და ოცდაათიან წლებში რუსთაველის საიუბილეო დღეებზე სპეციალური პრიზითაც დაუჯილდოებიათ.

მუდამ მხიარული, მოხალისე, ჩინებული თამადა, შესანიშნავი ხმის პატრონი და ქართული სიმღერების შემსრულებელი გახლდათ ვილენი. „უდარდელი კაციაო“, ამბობდნენ და ვინ იცოდა, ძალიან ახლობლების გარდა, რამხელა დარდსა და საფიქრალს ატარებდა გულით. სხვას თავს არ მოახვევდა, შესანიშნავად გამოსდიოდა უდარდელი-მოქეიფე-როხროხა ჟურნალისტის როლი. თვალები აუცრემლდებოდა მშობლების გახსენებაზე და გვიყვებოდა ძველ, მშობლიური მაღლაკის ისტორიებს, გვიყვებოდა, როგორ უვლიდა დედამისი ვილენის დაბრმავებულ ბაბუას – „რომელი რძალი გააკეთებს ახლა ამასო“... ჩაიქნევდა ხელს. იხსენებდა სტუდენტობას, სტუდქალაქში გატარებულ წლებს, მეგობრებს. ცრემლს გაურევდა და ამას მის გულჩვილობას მივაწერდით ხოლმე.

საოცარი წიგნი გამოსცა მემუარული სტილისა – საუბრები შვილიშვილთან. პატარა ანანო მარდალეიშვილი ხომ მისი საოცარი მზე და ხატება იყო. უძღვნიდა ლექსებს, ჩანახატებს, პატარა ნოველებს, შემდეგ კი ლამაზ წიგნად აკინძა და ანდერძივით დაუტოვა... მეორე შვილიშვილს აკაკი დაარქვა. აკაკი წერეთელი ხომ ღმერთი იყო ვილენ მარდალეიშვილისთვის, ზეპირად იცოდა საქართველოს ბულბულის ყველა ლექსი, „ჩემი როსტომიჩი, რომ იტყოდაო“, ხშირად ჩაურთავდა საუბარში.

ახლაც ყურში ჩამესმის ვილენის შემოძახილი – **„სტუმარი გვეწვია, ბოშო, გავშალოთ სუფრა, რანაირი იმერლები ვართო!“** უფრო ხშირად თავად ეს „სტუმრები“ გვეპატიჟებოდნენ. თავს მოიკლავდა და არსად გაჰყვებოდა – „აგერ, ჩემო ბატონო, ამ შენობას იმხელა სასადილო აქვს, ერთი ქორწილის ხალხი დაეტევა და ჩვენ ვერ მოვთავსდებითო?“... უცებ რომ მოეკითხათ, არ სურდა შენობის დატოვება – ყველა რედაქტორის საყვარელ ჟურნალისტს. „აგი დაიმახსოვრე, ყველა სიტუაციაში უნდა შეგეძლოს წერილის დაწერა, წერილის გადადება რავა იქნება, თან იქეიფე, თან წერე, თუ არ შეგიძლია, ერთ-ერთს შეეშვიო“, – ეს იყო ვილენის ჟურნალისტური ეთიკის ერთ-ერთი, დაუწერელი კანონი. არავის ახსოვს, დავალება ჩაეგდოს, ინტერვიუს ჩამოართმევდა კაცს, უზარმაზარი ასოებით წერდა, ათამდე ფურცელს შეავსებდა, გაიტანდა გადასაბეჭდად და დაიწყებდა მოლხენას... უცებ ჩაასწორებდა აწყობილს, რედაქტორს მიუტანდა, სანამ გაზეთის გვერდში წერილი არ ჩაჯდებოდა, მანამდე რამდენჯერმე წაიკითხავდა. მეორე დილით, სისხამზე პირველი ყიდულობდა გაზეთს, გადახედავდა თავის წერილს და „კაი გამოვიდა, ხო იცი შენო“... შეაქებდა თავის თავს.

დამწყებ ჟურნალისტებს „მასტერკლასებს“ უტარებდა, პირდაპირი იყო იმათთან, თითქოს მკაცრიც, ასწავლიდა ათასგვარ ნიუანსებს, მერე ეტყოდა – შენ, ბიძია, კოჭებში გეტყობა, პოლიტიკას უფრო უღებ ალღოს და იმ განყოფილებაში გადადიო. ყველაზე მეტად გული ჩვენს კოლეგაზე წყდებოდა, ჯაბა ხუბუაზე – ძაან ნაკითხი ბიჭია, აი, მაგი გამოვა ნაღდი ჟურნალისტი, ჩემი სკოლააო, იტყოდა. როდესაც ჯაბა სხვა გაზეთში გადავიდა, „ასავალ-დასავალში“ ყველა ნომერს კითხულობდა, „რა კაცი გამექცაო“, – ეამაყებოდა მისი წარმატებები.

თუ კაცი არ მოეწონებოდა, არასოდეს გალანძღავდა, მისი საყვარელი ფრაზა იყო „კაი ძალააო“ და ამით ყველაფერი იყო ნათქვამი...

მოკლედ... საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ჟურნალისტიკაში ყველა დიპლომისა და სახელობითი პრემიის მფლობელი, ღირსების ორდენოსანი, შესანიშნავი ადამიანი, თბილისის კოლორიტი, უღალატო მეგობარი და კარგი ოჯახის უფროსი – ვილენ მარდალეიშვილი 9 ნოემბერს 80 წლისა შესრულდებოდა. **„სადაც მე დავიმარხები, ჩემი მთაწმინდაც იქაა“,** – უყვარდა თქმა და... წავიდა ამ ქვეყნიდან ჩუმად, გულგატეხილი, დარდიანი და ცრემლიანი ნაღდი ჟურნალისტი.

გილოცავთ, ვილენ, საიუბილეო თარიღს, გვიყვარხართ, გვახსოვხართ და ვამაყობთ, რომ ასეთი კაცის მეგობრები ვიყავით...

**უამრავი მეგობრისა და „საქართველოს რესპუბლიკის“ სახელით**

**მამუკა ვაშაკიძე.**




# „არ ვეპუები სიბერეს, დროს უმიზნოდ არ ვძარცვავ...“

**თანამედროვე წყალტუბოს ერთ-ერთ სიმბოლოდ თუ ვინმეს დასახელებას მთხოვდნენ, მე დაუფიქრებლად მურთაზ კანკაძეს დავასახელებდი.**

80 წლის წინ, 1943 წლის 9 ნოემბერს, წყალტუბოს რაიონის სოფელ მაღლაკში, კლიმენტი კანკაძის და ლოლა ჟორჟოლიანის ოჯახში ბიჭი დაიბადა, მურთაზი დაარქვეს.

ომის ქარცეცხლში იყო გახვეული მაშინ მსოფლიო, უჭირდა ყველას და უჭირდა კანკაძეების ოჯახსაც. მამა ფრონტზე იყო, ახალგაზრდა დედას ოჯახის წევრები ედგნენ მხარში. კლიმენტი კანკაძე 1946 წელს დაბრუნდა მეორე მსოფლიო ომიდან, მომდევნო წელს კი მეუღლე გარდაიცვალა. 3 წლის ობოლი ბიჭის გაზრდა მამიდამ, პედაგოგმა მარიამ კანკაძემ ითავა. მიუხედავად ომისშემდგომი წლების სიმძიმისა, ცხოვრება მაინც წინ მიდიოდა და მას ფეხს უწყობდა მურთაზ კანკაძეც.

ახალგაზრდამ ვერცხლის მედალზე დაასრულა მაღლაკის საშუალო სკოლა. მოსწავლეობიდანვე თანამშრომლობდა რაიონულ თუ რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებთან, სადაც იბეჭდებოდა მისი კორესპონდენციები, ლექსები, ჩანახატები, ფოტოები.

მიუხედავად აშკარად წარმოჩენილი ჟურნალისტური ნიჭისა, 1961 წელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქუთაისის საღამოს სწავლების ფაკულტეტის სტუდენტი ხდება და ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობას ეუფლება. სწავლის პარალელურად მუშაობდა ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში. სამხედრო სავალდებულო სამსახური გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაიარა.

ჯარიდან დაბრუნებული, ცოტა ხნით მშობლიურ სოფელში, რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში მუშაობდა შემკეთებელ-ზეინკლად, შემდეგ ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხანაში – კონტროლიორად, საავტომობილო ქარხანაში – ინჟინერ-ტექნოლოგად.

1973 წელს მუშაობას იწყებს წყალტუბოს რაიონული გაზეთ „დროშის“ რედაქციაში ლიტმუშაკად. ბაქოს უმაღლესი პოლიტოლოგიური სკოლის დასრულებაც მოასწრო და რაიონის პარტიულ აპარატში საპასუხისმგებლო თანამდებობაზეც დაჰყო რამდენიმე წელი, 10 წლის შემდეგ კი, უკვე ამ გაზეთის მთავარი რედაქტორია. მერე გაზეთს „წყალტუბო“ უწოდეს და დღემდე მურთაზ კანკაძის ენთუზიაზმითა და შემართებით არსებობს.

– ჟურნალისტობა იყო ჩემი მოწოდება და პროფესიადაც ვაქციე, 1989 წელს დაუსწრებლად დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. 90-იანი წლებიდან თითქმის ორი ათეული წელი ლექციებს ვუკითხავდი მომავალ ჟურნალისტებს ქუთაისის წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და კერძო უმაღლეს სასწავლებლებში.

ჩემი კლასელი იყო ცნობილი ჟურნალისტი ვილენ მარდალეიშვილი. ჩვენ ერთ დღეს ვართ დაბადებულები. მე, ვილენი და კიდევ ერთი ჩვენი სკოლელი რაულ ბაბუნაშვილი მოსწავლეობიდანვე ვწერდით ლექსებს , გაზეთ „ახალი წყალტუბოს“ „სოფლკორის“ წოდებაც კი მოგვანიჭეს და გაზეთს ხშირად ვაწვდიდით ინფორმაციებს. ვილენი სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისში წავიდა, ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ჩააბარა და მალე დაიმკვიდრა თავი დედაქალაქში. ჩვენი მეგობრობა მისი სიცოცხლის ბოლომდე არ შეწყვეტილა...

საქმიანობის პარალელურად, აქტიურად ვთანამშრომლობდი მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილებასთან, სადაც იმ პერიოდში იკრიბებოდნენ ახლა უკვე ცნობილი და აღიარებული მწერლები და პოეტები: თეიმურაზ ლანჩავა, ავთანდილ ყურაშვილი, ირაკლი ბაზაძე, ავთანდილ ნიკოლეიშვილი, ლეილა მესხი, ჯემსი კეპულაძე და სხვები.

სადაც და რა პოზიციაზეც არ უნდა ვყოფილიყავი, მთავარი ყოველთვის იყო ჟურნალისტობა. ჩემი, როგორც მთავარი რედაქტორის მიერ ხელმოწერილი გაზეთის პირველი ნომერი 1983 წლის 17 დეკემბერს გამოვიდა ანუ სამმაგად საიუბილეო წელი მაქვს: 80 წლის ვხდები, მასმედიაში მოღვაწეობის 50 წელი და მთავარი რედაქტორობის 40 წელი მაქვს აღსანიშნავი.

აღმავლობის წლები ჰქონდა იმ პერიოდში გაზეთ „დროშას“ – ტირაჟი 14 000 ათასამდე გაიზარდა, კვირაში სამჯერ გამოვდიოდით, არაერთ კონკურსში გავიმარჯვეთ!.. 1990 წელს გაზეთს სახელი შევუცვალეთ და „წყალტუბო“ დავარქვით. 90-იანი წლების ყველა სირთულე ადგილობრივ პრესასაც შეეხო, კვირაში ერთხელ თუ ვახერხებდით გამოსვლას. ჩვენი სტამბა გამოიფიტა და უფუნქციოდ დარჩა. გაზეთის მომზადება და ბეჭდვა ქუთაისის სტამბას მივანდეთ. უტრანსპორტობის გამო ფეხითაც ბევრჯერ ჩავსულვარ ქუთაისში, რომ გაზეთი დამებეჭდა. ძველი თანამშრომლებიც ნელ-ნელა შემომეცალნენ. იმ პერიოდიდან დღემდე ვითავსებ არამხოლოდ მთავარი რედაქტორის, არამედ პასუხისმგებელი მდივნის, განყოფილებების გამგეების, ფოტორეპორტიორის, კორექტორის და ფოსტალიონის საქმიანობასაც კი...

მიამბობს თავისი ცხოვრების გზაზე ბატონი მურთაზი, თუმცა, ბევრი რამ ჩემთვის ისედაც ცნობილი იყო. მურთაზ კანკაძის და იზეტა ბერაიას ოჯახი ჩემთვის ბავშვობიდან ახლობელი და საყვარელი ოჯახია. მარიკა, მარეხ, მერაბ და მაია კანკაძეები გაიზარდნენ ამ ოჯახში, ერთმანეთზე კარგები და წარმატებულები.

მარიკა ოჯახით ფოთში ცხოვრობს, მასწავლებელია, მარეხი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვის სამსახურის უფროსია, მერაბი მხატვარია, ამჟამად ოჯახთან ერთად საფრანგეთში ცხოვრობს, მაია ფილოლოგია, ახლა საბერძნეთში იმყოფება.

7 შვილიშვილის და ერთი შვილთაშვილის ბაბუობასაც კარგად ახერხებს ბატონი მურთაზი. ერთ-ერთ შვილიშვილზე, სორბონის უნივერსიტეტის დოქტორანტ იზეტა კანკაძეზე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველს უკვე ვუამბეთ. მიუხედავად ზემოჩამოთვლილი პროფესიებისა თუ თანამდებობებისა, მურთაზ კანკაძე ჩემს მეხსიერებაში საოცარი, ზღაპრული სამყაროდან შემოვიდა ოდესღაც.

– უცნაური ფორმის ქვების, ხის ფესვების, ტოტების შეგროვება და მათგან კომპოზიციების დამზადება ჩემი ჰობია. ხშირად ვმონაწილეობ ხალხური შემოქმედების გამოფენებში, ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის დიპლომითაც ვარ დაჯილდოებული.

პოეზია კვლავ რჩება ჩემს დიდ გატაცებად. ვარ ორი პოეტური კრებულის – „აღმართი“ და „ჩემი მწვერვალი მიმელის მაღლა“ ავტორი. საიუბილეო დღის სინათლე იხილა მესამე წიგნმა, რომელსაც სიმბოლურად „შემოდგომის ფოთოლცვენა“ დავარქვი. წლების განმავლობაში ვხელმძღვანელობდი გაზეთის რედაქციასთან არსებულ ლიტერატურულ გაერთიანება „სათაფლიას“. ჩემი რედაქტორობით გამოცემულია ადგილობრივ ავტორთა 40-მდე წიგნი...

მურთაზ კანკაძე წყალტუბოს საპატიო მოქალაქეა, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, „ღირსების ორდენის“ კავალერი, რამდენიმე პრემიის, სტატუსის, ტიტულის თუ პრიზის მფლობელი, თუმცა, არ არსებობს იმაზე მაღალი ჯილდო და პატივი, რასაც ის ყოველდღიურად გრძნობს თანაქალაქელებისა თუ თანასოფლელებისაგან.

**ძველებური ხალისით დადის წყალტუბოს ქუჩებში ეს კაფანდარა, მაგრამ მართლა დიდი კაცი, უკვე 80 წლის მურთაზ კანკაძე. ისევ მშობლიური სანახების მაჯისცემაზეა მიყურადებული, ისევ ახალი და კარგი ამბების მაცნე, ისევ წინ მიიწევს და მოწოდების სიმაღლეზეა. კანკაძეების ოჯახიც იზრდება და მრავლდება.**

**ჰოდა, თუ ვინმე მკითხავს, თანამედროვე წყალტუბოს სიმბოლოდ ერთი ადამიანი დაასახელეო, მე დაუფიქრებლად სწორედ მას – მურთაზ კანკაძეს დავასახელებდი!**

**ირმა მარდალეიშვილი**

## ისმინე, ბინის მძებნელო!



**14 ნოემბრიდან თბილისში, ზუგდიდში, ქუთაისსა და რუსთავში ახალაშენებულ კორპუსებში განსახლების მსურველი დევნილი ოჯახების განაცხადების მიღება იწყება. ახალი განაცხადი უნდა შეავსოს ყველა იმ ოჯახმა, ვისაც დევნილთა განსახლების პროგრამის ფარგლებში, საცხოვრებელი ფართის მიღება სურს.**

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ილია ღუდუშაურის განცხადებით, თბილისში ბინის მისაღებად, განაცხადის გაკეთება შეუძლიათ იმ დევნილ ოჯახებს, რომლებიც დედაქალაქში, 2013 წლის 1 ივნისამდე არიან რეგისტრირებულები. ზუგდიდში, ქუთაისსა და რუსთავში კი, განაცხადის გაკეთება, საქართველოს ნებისმიერ რეგიონში რეგისტრირებულ დევნილ ოჯახებს შეუძლიათ.

განაცხადები, ქვეყნის მასშტაბით არსებულ იუსტიციის სახლებში, 2024 წლის 1 თებერვლამდე მიიღება.

## წამლები, რომელზეც რეფერენტული ფასი მოქმედებს, გაფართოვდა



**ფასის ზედა ზღვარი, ჯამში, 3 200-ზე მეტ მედიკამენტზე განისაზღვრა,** – ინფორმაციას ჯანდაცვის სამინისტრო ავრცელებს.

**„რეფერენტული ფასწარმოქმნის მექანიზმი ქრონიკულ, ონკოლოგიურ, ანტიჰიპერტენზიულ, ანტიკოაგულაციურ, ანტიჰისტამინურ, ანთების საწინააღმდეგო, ფსიქოლეფსიურ, კუჭ-ნაწლავის ტრაქტზე მოქმედ, ტკივილგამაყუჩებლებსა და ანტიბიოტიკებზე მოქმედებს.**

**წამლების ჩამონათვალი რომლებზეც ფასის ზედა ზღვარი მოქმედებს ეტაპობრივად გაფართოვდება და ფარმაცევტულ ბაზარზე, აქტიურად მიმოქცევაში არსებული მედიკამენტების მოცვა სრულად მოხდება. რეფორმის მიზანი, მოქალაქეებისთვის მედიკამენტებზე მაქსიმალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაა. ცვლილების შედეგად, ფარმაცევტული პროდუქტის ფასი, საშუალოდ, 40%-ით შემცირდა.**

## ეროვნული ბანკის გუნდს ცნობილი უცხოელი კონსულტანტები შეუერთდნენ

**ფინანსური ბაზრების განვითარების, მიმდინარე და დაგეგმილი რეფორმების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განხორციელებისა და სხვადასხვა მიმართულებებით საქმიანობის გაძლიერების მიზნით, ეროვნული ბანკის გუნდს მაღალი დონის საერთაშორისო კონსულტანტები შემოუერთდნენ, რომლებიც პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის მრჩევლებად იმუშავებენ,** – ამის შესახებ ეროვნული ბანკის პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში აღნიშნული.

უცხოელი ექსპერტები – დუგლას ლაქსტონი, დევიდ ვავრა და მარსიალ ნიკოლა სმეტი ეროვნული ბანკს კონსულტაციებს გაუწევენ ისეთი მიმართულებებით, როგორებიცაა მაკროეკონომიკური და მონეტარული პოლიტიკა, ფინანსური ბაზრების განვითარება, ფინანსური დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა, საერთაშორისო ფინანსური სანქციების აღსრულება და სხვა. ზოგიერთ მათგანს წარსულშიც აქვს ეროვნულ ბანკთან სხვადასხვა პროექტების განვითარების კუთხით მუშაობის გამოცდილება.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ნათია თურნავას განცხადებით, დარწმუნებულია, რომ უცხოელი კონსულტანტების კომპეტენცია და მრავალწლიანი გამოცდილება კიდევ უფრო გააძლიერებს ეროვნული ბანკის პროფესიონალთა გუნდს.



დუგლას ლაქსტონი | დევიდ ვავრა | მარსიალ ნიკოლა სმეტს



როდესაც პალესტინასა და ღაზის სექტორში განსახლების პრობლემებზე მსჯელობისას მოშე დაიანს არაბებმა ჰკითხეს, კი მაგრამ, ჩვენ სადღა წავიდეთო? ლეგენდარულმა გენერალმა მოკლედ უპასუხა: ებრაელები ოცი საუკუნე ვლოცულობდით, სახელმწიფო რომ გვქონოდა, ახლა კი თქვენი ჯერიაო!

## ფუკუსიმა ახლო აღმოსავლეთში

# „ხალხი უნდა აიძულო, შეძრწუნდეს, რათა ჩაუნერგო შეუპოვრობა“!

**პოლიტიკური ლექსიკონის განმარტებით, ანკლავი არის სახელმწიფოს სახმელეთო ტერიტორიის ნაწილი, რომელსაც სხვა სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ტერიტორიები ესაზღვრება, მაგრამ საზღვაო ნაპირი არ აქვს.**

**საისტორიო გედისწერით, ანკლავები ყოველთვის არსებობდნენ (მაგალითად, ლესოტოს ანკლავი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში), მაგრამ არცერთ მათგანს არ შეუსრულებია ისეთი საბედისწერო როლი, როგორც ღაზის სექტორმა შეასრულა ახლო აღმოსავლეთში, 2023 წლის 7 ოქტომბერს ისრაელის წინააღმდეგ განხორციელებული უპრეცედენტო ტერორისტული აქტის განხორციელებით.**

ქართველების თავზე წისქვილის დოლაბი არ დატრიალებულა, თორემ უცხოტომელთა თარეში, ჩვენ რომ გამოვცადეთ, ისეთი უნდა, ამიტომ სხვაზე უკეთ მოგვეხსენება, თუ როგორი უბედურების დატრიალება შეუძლია რელიგიური ფანატიზმით გონდაბინდულ ადამიანებს.

ივანე ჯავახიშვილს „ქართველი ერის ისტორიის“ მეორე ტომში დამოწმებული აქვს ისტორიკოს ჯუანშერის ცნობა, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ ბნელ ძალასთან გვქონდა საქმე:

**„მოიწია ამირა აგარიანი ქართლად, რომელსა ერქუა მურვან ყრუ, ძე მომადისი... და ყოველნი მთავარნი და პატიახშნი, ნათესავნი ერისთავთანი და წარჩინებულთანი შევიდოდეს კავკასიად და დაიმალნეს კლდეთა და ღრეთა და მოვლო ყრუ მურვან ყოველი კავკასია და დაიპყრა კარი დარიალისა და დარუბანდისა და შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და უმრავლესნი ციხენი ყოველთა საზღუართა ქართლისათა“.**

მოგეხსენებათ, გენეტიკა არ იცვლება, ამიტომ იმ ფანატიკოსთა შორის, ვინც 2023 წლის 7 ოქტომბრის დილის 7 საათზე ისრაელში ცოდვის კალო დაატრიალა, მურვან ყრუს პირდაპირი შთამომავლებიც იქნებოდნენ და, ალბათ, ამიტომაც გამოირჩეოდნენ ასეთი სისასტიკით.

კი, მაგრამ, როგორ გამოეპარა ისრაელის დაზვერვას, რომლის შესახებაც ლეგენდები დადის მთელ მსოფლიოში, ასეთი ფართომასშტაბიანი ოპერაციის სამზადისი? აგენტურულ ქსელს თავი რომ დავანებოთ, ისრაელის დაზვერვას არსენალში აქვს საბრძოლო ხელოვნების ინტელექტი „ქიმერა“, რომლის მეშვეობით ხდება „ჰამასის“ მებრძოლების იდენტიფიცირება. როცა ესა თუ ის ადამიანი ქუჩაში გადაადგილდება, მისი ვიდეოგადაღება ხდება კოსმოსური თანამგზავრიდან, „ქიმერა“ კი გამოთვლის, არის თუ არა ეს ადამიანი „ჰამასის“ მებრძოლი, მიხრა-მოხრითა და სხვა დამახასიათებელი მანერებით. როგორც ვხედავთ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ასე არ მოხდა და სწორედ ამან გააჩინა ის პასუხგაუცემელი კითხვები, რომლებმაც ათასგვარ ინსინუაციას დაუდო სათავე. მაგალითად, შეთქმულების თეორიის მიმდევრები ვარაუდობენ იმასაც, რომ ისრაელის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ინფორმირებული იყო მოსალოდნელი დივერსიის შესახებ, მაგრამ შეგნებულად არ აღკვეთა იგი, რათა პოსტფაქტუმ გამანადგურებელი დარტყმა მიეტანა იმ ტერორისტულ დაჯგუფებაზე, რომელიც მუდმივ თავსატეხად ექცა წლების განმავლობაში.

მეორე ვერსიით, არ გამორიცხავენ შიდა დაპირისპირებას სახელისუფლო ვერტიკალში, რასაც პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუს არაშორსმჭვრეტელური პოლიტიკით ხსნიან. კერძოდ, საუბარია იმაზე, რომ საკვანძო საკითხების ირგვლივ დაპირისპირებამ ისრაელის არმიაშიც შეაღწია, რამაც ცალკეული სამხედრო მაღალჩინოსნების დემორალიზაცია და, შესაბამისად, სიფხიზლის მოდუნება გამოიწვია. შესაძლოა, ამას უკან მიდევნებული ლამპარის ეფექტი ჰქონდეს, მაგრამ, შექმნილი სახიფათო ვითარების გათვალისწინებით, ისრაელის მმართველ გუნდში მიიღეს სწორი გადაწყვეტილება და ყველა ის მაღალკვალიფიციური კადრი დააბრუნეს არმიაში, რომლებიც კონიუნქტურული მოსაზრებით იყვნენ დათხოვნილი, წინა წლებში.

რთული სათქმელია, რა პროცესები მიმდინარეობს შიდა სამზარეულოში, მაგრამ, მოსახლეობის გამხნევების თვალსაზრისით, დასაფასებელია ისრაელის პრეზიდენტის იცხაკ ჰერცოგის, პრემიერ ბენიამინ ნეთანიაჰუს და თავდაცვის მინისტრ იოავ გალანტის მტკიცე პოზიცია, რომელიც სრულ თანხვედრაში მოდის ერთმანეთთან – დაუნდობელი შურისძიება და ხანგრძლივი ბრძოლა „ჰამასის“ სრულ განადგურებამდე!

**„ჩვენ ვიწყებთ ხანგრძლივ და რთულ ომს. ომი გვაიძულა „ჰამასის“ თავდასხმამ. პირველი ეტაპი ამ საათებში დამთავრდება ჩვენს ტერიტორიაზე შემოჭრილი მტრის ძალების უმრავლესობის განადგურებით. ამავდროულად, ჩვენ დავიწყებთ შეტევითი ფორმირება და ის გაგრძელდება შესვენების გარეშე, მიზნების მიღწევამდე“,** – განაცხადა **ბენიამინ ნეთანიაჰუმ**, რასაც ისრაელის ფართო საზოგადოების მხარდაჭერა მოჰყვა.

იმის დასტურად, თუ როგორი პასუხისმგებლობის გრძნობით გამოირჩევიან ებრაელები საკუთარი სამშობლოს წინაშე, საკმარისია ითქვას, რომ პირველივე სამი დღის განმავლობაში 350 ათასი რეზერვისტის მობილიზება გახდა შესაძლებელი, რაც უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს ასეთი პატარა ქვეყნისთვის. პატივისცემას იმსახურებს უცხოეთში მცხოვრები ყველა ის პატრიოტი ებრაელი, რომელიც ნებაყოფლობით დაბრუნდა ისტორიულ სამშობლოში, საბრძოლო მოქმედებებში ჩართვის გულწრფელი სურვილით.

ისრაელის პრემიერ-მინისტრის მტკიცე პოზიციის კვალდაკვალ, მუქარის შემცველი განცხადებით გამოვიდა „ჰამასის“ ოფიციალური წარმომადგენელი აბუ ობეიდა, რაც იმის უტყუარ დადასტურებად უნდა მივიჩნიოთ, რომ ორივე დაპირისპირებული მხარე იმოქმედებს პრინციპით – კბილი კბილის წილ: ჩვენი ხალხისთვის ნებისმიერ დამიზნებას მოჰყვება მძევლების სიკვდილით დასჯა, რომელიც გადაიცემა ვიდეო და აუდიო საშუალებებითო! ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ იმ ცივსისხლიანი ტერორისტებისგან ყველაფერია მოსალოდნელი, ვინც მძევლად აიყვანა არა მარტო ქალები და 80 წელს გადაცილებული მოხუცები, არამედ 6-8 თვის ჩვილი ბავშვები, რაც ყოველგვარი ომის კანონებს ეწინააღმდეგება, ყველაზე რბილი შეფასებით.

საკითხის არსში უკეთ გარკვევის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ 2004 წელს ისრაელის ცენტრალურმა ხელისუფლებამ, მუდმივი შეიარაღებული დაპირისპირების თავიდან აცილების მიზნით, ნებაყოფლობით დატოვა ღაზის სექტორი, სამხედრო შენაერთებთან ერთად გამოიყვანა ებრაელი მოსახლეობა და სამი მიმართულებით ააგო დამცავი ზღუდეები, თუმცა, ვერც ამ პრევენციულმა ღონისძიებამ გამოიღო სასურველი შედეგი, რადგან, როგორც ცნობილია, შეუთავსებლის შეთავსება შეუძლებელია და წრეგადასული სიძულვილი გონებას ახშობს. გავრცელებული ინფორმაციით, „ჰამასის“ ტერორისტულ დაჯგუფებას შეიარაღებაში ოფიციალურად აქვს 100-დან 160 კილომეტრამდე მფრენი უმართავი რაკეტები, ხოლო არაოფიციალურად, 250 კილომეტრამდე რადიუსის რაკეტებიც, რომლის მეშვეობითაც ისრაელის ყველაზე უკიდურესი წერტილის დაბომბვაც კია შესაძლებელი.

**კი მაგრამ, საიდან აქვს ასეთი სუპერთანამედროვე საზენიტო შეიარაღება ამ ტერორისტულ დაჯგუფებასო, იკითხავს, ალბათ, დაინტერესებული მკითხველი. მართალია, ამას კატეგორიულად უარყოფენ, მაგრამ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ „ჰამასის“ უკან ირანი, რუსეთი, სირია და ჩრდილოეთ კორეა იდგნენ, საკუთარი ქვეყნების პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე. გაკვირვებას იწვევს თურქეთის პრეზიდენტის პოზიცია, რომელმაც არა მარტო „ჰამასის“ მხარდამჭერი განცხადებები გააკეთა, არამედ ისრაელის სახელმწიფო სამხედრო დამნაშავედ გამოაცხადა, ღაზის სექტორში სახმელეთო ოპერაციის გაფართოების გამო. რაც უნდა უცნაურად მოეჩვენოს ვინმეს, მშვიდობისმყოფელის მანტია მოისხა რუსეთის პრეზიდენტმა, მძევლების განთავისუფლების საქმეში შუამდგომლობა იკისრა და საგარეო საქმეთა სამინისტროს მოწვევით „ჰამასის“ დელეგაციასაც უმასპინძლა მოსკოვში, რამაც ოფიციალური ისრაელის გულისწყრომა გამოიწვია.**

არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია გაეროს გენერალური მდივნის ანტონიო გუტერეშის განცხადებამ, რომელიც ცალსახად ისრაელის წინააღმდეგ იყო მიმართული: „მნიშვნელოვანია ვაღიაროთ, რომ „ჰამასის“ თავდასხმა ვაკუუმში არ მომხდარა. პალესტინელი ხალხი 56-წლიან მახრჩობელა ოკუპაციას ექვემდებარება. მათ დაინახეს, რომ მათი მიწა ძალადობას განიცდის და მასზე დასახლებები ჩნდება, მათი ეკონომიკა დაიხრჩო, მათი ხალხი განიდევნა და მათი სახლები დაინგრა. მათი მდგომარეობის პოლიტიკური გადაწყვეტილების შესახებ მათი იმედები გაქრა“.

რბილად რომ ვთქვათ, გაკვირვებას იწვევს ბატონი გუტერეშის წუხილი იმასთან დაკავშირებით, რომ პალესტინელი ხალხის იმედები, მათი მდგომარეობის პოლიტიკური გადაწყვეტილების შესახებ გაქრა. კი მაგრამ, ვინ უნდა მიიღოს ასეთი გადაწყვეტილება, ისრაელმა, მონტენეგრომ თუ გვინეა პაპუამ?! შესაძლოა, სენიორ გუტერეშმა არ იცოდეს, მაგრამ მის პოლიტიკურ მრჩევლებს უთუოდ ეცოდინებათ, რომ არსებობს გაეროს 1947 წლის ნოემბრის რეზოლუცია, რომელიც რეკომენდაციას იძლეოდა, პალესტინაში შექმნილიყო ორი სახელმწიფო, როგორც ებრაული, ისე არაბული, ხოლო იერუსალიმს მინიჭებოდა საერთაშორისო ქალაქის სტატუსი. იმჟამინდელი მსოფლიო წესრიგის პირობებში, ამ კეთილშობილური ამოცანის შესრულება შესაძლებელი იყო, მაგრამ არაბებმა ქოში უკუღმა ყარეს და ებრაელებთან მეზობლობაზე კატეგორიული უარი განაცხადეს.

ექსპერტმა სოსო ცინცაძემ ჩვეული კვალიფიციურობით ახსნა იმ პათოლოგიური ზიზღის მიზეზები, რამაც საშვილიშვილოდ გადაამტერა ერთმანეთს ებრაელები და არაბები: „როგორც ლიმონი, ისე გამოწურეს პალესტინელებში ყველა ადამიანური თვისება – სიყვარული, შეცოდება, მიტევება, სიკეთე, სიბრალული... ვინ გამოწურა? იმ სიძულვილის იდეოლოგიამ, რასაც მათში ბავშვობიდან აღვივებდნენ ჯიჰადისტები – ის ადამიანები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ისრაელის სახელმწიფოს ადგილი არ არის იქ, სადაც დღეს არსებობს“.

ისრაელი პატარა ხულიგანია რეგიონშიო, – მოსწრებულად თქვა ერთ სატელევიზიო გადაცემაში ჰამლეტ ჭიპაშვილმა. ალბათ, ასეცაა, რადგან დაუძინებელი მტრების გარემოცვაში სხვაგვარად თავის გადარჩენა შეუძლებელი იქნებოდა. მართალია, შურისძიება სუსტების ხვედრია, მაგრამ ისრაელი იძულებული გახადეს, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ გადაედგა ესოდენ სარისკო ნაბიჯი. აკი, განაცხადა კიდეც ბენიამინ ნეთანიჰუმ, მტერი გადაიხდის იმ ფასს, რის შესახებაც აქამდე არ სმენიათო!

**როდესაც პალესტინასა და ღაზის სექტორში განსახლების პრობლემებზე მსჯელობისას მოშე დაიანს არაბებმა ჰკითხეს, კი მაგრამ, ჩვენ სადღა წავიდეთო? ლეგენდარულმა გენერალმა მოკლედ უპასუხა: ებრაელები ოცი საუკუნე ვლოცულობდით, სახელმწიფო რომ გვქონოდა, ახლა კი თქვენი ჯერიაო!**

ამ სავალალო ვითარებაზე ფიქრისას, რაც ამჟამად ახლო აღმოსავლეთში ხდება, გონებაში ამოტივტივდა მუხრან მაჭავარიანის ერთი ლექსი, რომელიც თანაბრად მიესადაგება როგორც ისრაელს, ისევე საქართველოს, არსებული გეოპოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით:

**„ან უნდა იყო ძალზე ვერაგი,**
**ან უნდა ყველას ჯაბნიდე, ანდა**
**გჯაბნიდეს ყველა, როცა ყველასგან**
**ყველაფერს ელი, სიკეთის გარდა!“**

ისრაელის ბედი ღმერთმა გვაშოროს, მაგრამ ჩვენგან განსხვავებით, ებრაელებს ძლიერი ლობი ჰყავთ როგორც ევროპაში, ისე ამერიკის შეერთებულ შტატებში. სამხედრო-სამრეწველო კომპლექსსა და საფინანსო სექტორში მოღვაწე გავლენიან პერსონებზე რომ არაფერი ვთქვათ, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი და მისი მოადგილე, ჩვენთვის კარგად ნაცნობი ვიქტორია ნულანდი, ეთნიკური ებრაელები არიან. უთუოდ მათი ძალისხმევის შედეგიც იქნებოდა, რომ სპარსეთის ყურში ყველაზე დიდი ავიამზიდისა და საჰაერო ესკადრილიის გარდა, ჰაერსაწინააღმდეგო და ანტისარაკეტო სისტემების გადატანაც არის დაგეგმილი, რაც უდიდეს მხარდაჭერად უნდა მივიჩნიოთ, მით უფრო იმ ფონზე, როცა პალესტინის ტერორისტული ორგანიზაცია „ჰესბოლაც“ აპირებს საბრძოლო მოქმედებაში აქტიურად ჩართვას...

„ჰესბოლას“ შესახებ ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ „ჰამასი“ რომ ამერიკის შეერთებული შტატების სპეცსამსახურების შექმნილია „პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციისა“ და იასირ არაფატის წინააღმდეგ საბრძოლველად, ამის თქმა დადასტურებულად შემიძლია. მართალია, იასირ არაფატმა ჩვენი ჭირი წაიღო და 2004 წელს ზეცაში გადასახლდა, მაგრამ დედამიწაზე დარჩა ტერორისტული ორგანიზაცია „ჰამასი“, რომელსაც, ბედის ირონიით, თავისსავე დამფუძნებელ მამებთან ანუ ამერიკელებთან, მოუწევს შეიარაღებული დაპირისპირება. სწორედ ეს გახლავთ ბუმერანგის პრინციპი, რომელმაც საშინელი შურისძიება იცის. მაგალითისთვის, შეგვიძლია გავიხსენოთ 1917 წლის ივლისი, როცა გერმანელებმა ფრანგებისა და ინგლისელების წინააღმდეგ მხუთავი აირი „იპრიტი“ გამოიყენეს და აღტაცების ყიჟინა დასცეს, მაგრამ ნაადრევი გამოდგა მათი სიხარული – მოულოდნელად ამოვარდნილმა ქარმა აირი საპირისპირო მიმართულებით წამოიღო და კაიზერის არმიის მთელი შემადგენლობა, მათ შორის, მომავალი ფიურერი ადოლფ ჰიტლერი, მძიმედ მოიწამლა. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ იგივე ემართება დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომლის პრეზიდენტის რიხიანმა ვიზიტმა ახლო აღმოსავლეთში სრული ფიასკო განიცადა. ამერიკის შეერთებულ შტატებს წყევლა-კრულვით მოიხსენიებენ ე.წ. „არაბული გაზაფხულის“ მსხვერპლი ქვეყნები: ტუნისი, კენია, სამხრეთ აფრიკა, ეგვიპტე, ლიბია, იორდანია, ომანი, იემენი, ბაჰრეინი, სირია... ამერიკელთა მხრიდან ეს იყო მდიდარი რეგიონის ენერგორესურსების ხელში ჩაგდების მიზნით განხორციელებული ექსპანსია, რომელმაც სავალალო შედეგები გამოიღო, რადგან სწორედ „არაბულმა გაზაფხულმა“ მოიტანა ისლამური სახელმწიფო, რომელმაც ენით აუწერელი უბედურება დაატრიალა მსოფლიოში.

**გაზვიადების გარეშე უნდა ითქვას, რომ ისრაელ-ამერიკის არაბულ სამყაროსთან დაპირისპირება არის პოლიტიკური ფუკუსიმა ახლო აღმოსავლეთში, რომლის კატასტროფული შედეგების პროგნოზირება მიმდინარე ეტაპზე შეუძლებელია, როგორც ცნობილია, ფუკუსიმას ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარი ავარიის შედეგად ოკეანეში სამასი ათასი ტონა მომწამვლელი ნივთიერება ჩაიღვარა, ეს კი ზღვაში წვეთი იქნება იმასთან შედარებით, რაც იმ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს, თუკი ისრაელი და ირანი მათ შეიარაღებაში არსებულ ბირთვულ პოტენციალს გამოიყენებენ ერთმანეთის წინააღმდეგ.**



**თეიმურაზ ჯანელიძე**

**P.S.** ამ წერილის სათაური კიდევ ერთი დიდი ებრაელის კარლ მარქსის ნაანდერძევია... ამ წერილის სათაური კიდევ ერთი დიდი ებრაელის კარლ მარქსის ნააზრევიდანაა. ებრაელებზე შეუპოვარ ხალხს მართლაც ვერ იპოვით! ამიტომაც, ყველაფერი გასაგებია!

◎ გენერალური რეპეტიცია

# ასეც, ისეც...

**პარიზის 2024 წლის ოლიმპიადამდე ერთი სეზონით ადრე ქართველ ძიუდოისტებს ფრანგული გამოცდის ჩაბარება მონპელიეში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე მოუწიათ. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ლაშა გუჯეჯიანის გაწვრთნილი გუნდის გამოსვლამ გაორმაგებული შთაბეჭდილება დატოვა:**

შეგახსენებთ, რომ ტოკიოს ოლიმპიადაზეც ფინალში ოთხმა ჭვაროსანმა გააღწია და მათგან ჩვენი სახელმწიფო ჰიმნი მხოლოდ **ლაშა ბექაურის** ტრიუმფის აღსანიშნავად გაჟღერდა. სხვათა შორის, გვირგვინთან ახლოს ამჯერადაც ქართული კვარტეტი იყო, მაგრამ საბოლოო შედეგი კიდევ უფრო უარესი აღმოჩნდა – ფინალში ოთხივე დამარცხდა და ამდენივე ვერცხლით ვაჟთა ნაკრებმა მე-6 ადგილი დაიკავა.




ეს იმ დროს, როცა, მაგალითად, **ირაკლი უზნაძის** ნავარჯიშევმა თურქეთმა სხვა სინჯის მედლებთან ერთად ოქროც მოიხვეჭა **ვანო რევაზიშვილის** (ვედათ ალ ბაირაქი) სახით და მან სატიტულო ბრძოლა, არც მეტი, არც ნაკლები, **ტატო გრიგალაშვილს** მოუგო, არადა, თავიდან ჩვენმა ოლიმპიურმა იმედმა მეტოქეს ორი შიდო მიაღებინა და ბოლო წუთზე „მამლუქი" ტატამიდან გაქცევის გამო მესამესაც იმსახურებდა, მაგრამ...

თანამემამულეებზე საუბრისას აღსანიშნავია ესპანეთის სახელით მოჭიდავე მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის **ნიკო შერაზადიშვილის** მოპოვებული ბრინჯაოც, რომელიც სარზიელს ტრავმის მოშუშების შემდეგ დაუბრუნდა, მაგრამ, მოდით, ისევ ჭვაროსნებზე ვისაუბროთ.

მოვლენები ისე განვითარდა, რომ მიზანთან ყველაზე ახლოს მყოფმა ვაზარით დაწინაურებულმა **გურამ თუშიშვილმა** ჩვეულებას არ უღალატა, უკანასკნელ წამებზე გაუმართლებლად გარისკა და ფინელ ტურნირის აღმოჩენას ჰიმალაინენს კონტრილეთით ბრძოლა დამატებით დროში გადააყვანინა, სადაც მეორე ვაზარიც „უფეშქაშა".

ასევე საკუთარ ფანდზე წამოეგო **ილია სულამანიძე** ტომით დაღესტანელ კოცოევთან, რომელმაც აზერბაიჯანს მეორე ოქრო ჩაუჩხრიალა ყულაბაში, ყველაზე დიდი იმედგაცრუება კი 90 კილოში გველოდა, სადაც ქართული ფინალის ნაცვლად წაგებული ფინალით მოგვიწია დაკმაყოფილება.

დიახ, ლაშა ბექაური ფიზიკურმა კონდიციებმა დაალალატა სერბ მაიდოვთან, მეორე ფავორიტი **ლუკა მაისურაძე** კი ფორუმის სტარტზევე დამარცხდა უზნაძის ერთ დროს სლოვაკ შეგირდ ზგენკთან.

◎ ყინულზე

# კვარცხლბეკზე ასრიალდნენ

**ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში გამართულ დენის ტენის მემორიალზე წარმატებით იასპარეზეს ქართველმა სპორტსმენებმა. იუნიორ ვაჟებში საკმაოდ დამაჯერებლად და პრაქტიკულად უშეცდომოდ შეასრულა თავისი თავისუფალი პროგრამა კონსტანტინე სუპატაშვილმა და ჩვენს ქვეყანას ვერცხლის მედალი მოუტანა. ქართველმა მოციგურავემ საერთაშორისო ტურნირზე ორი პროგრამის ჯამში 193.77 ქულით მეორე ადგილი დაიკავა.**




მედლების კიდევ ერთი კომპლექტი უფროსი ასაკის ვაჟებში გათამაშდა. **ნიკა ეგაძეს** 13 მონაწილე სპორტსმენს შორის ორი პროგრამის ჯამში 234.82 ქულით მეორე ადგილი ხვდა და მხოლოდ 0,04-ქულიანი სხვაობით ტურნირის გამარჯვებული კორეელი სპორტსმენი გახდა. ამავე ტურნირზე უფროსი ასაკის გოგონებში კიდევ ერთი მედალი **ალინა ურუშაძემ** მოიპოვა. მან 15 მონაწილე სპორტსმენს შორის ორი პროგრამის ჯამში 166.62 ქულით მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. რაც შეეხება იუნიორ გოგონებს, 16 მონაწილე სპორტსმენს შორის საუკეთესო იყო **ინგა გურგენიძე.** ჩვენებური ორი პროგრამის ჯამში 163.76 ქულით ტურნირის გამარჯვებული გახდა.

◎ პარაწოლჭიმი

# წარმატებით დახურეს

**საქართველოს პარაწოლჭიმის ნაკრებმა „კაირო 2023" მსოფლიო თასის გათამაშებაზე გამოსვლა წარმატებით დაასრულა. მძიმე წონით კატეგორიაში – (+107კგ) აკაკი ჯინჭარაძემ 230კგ დაძლია და როგორც ინდივიდუალურში, ასევე სამი მისვლის ჯამში ოქროს მედლები მოიპოვა.**

ამავე წონაში **გიორგი ლაცაბიძემ** 221 კილოგრამი დააფიქსირა, რითაც ინდივიდუალურში ბრინჯაოს, ხოლო სამი წარმატებული შედეგის ჯამში ვერცხლის მფლობელი გახდა.

107 კილოგრამში ოქროს მედლები მოიპოვა **იაგო გორგოძემ.** ქართველმა სპორტსმენმა 190 კგ დაძლია. ხოლო **დავით ქობალიამ** როგორც ინდივიდუალურში, ასევე სამი მისვლის ჯამში ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრა.

გოგონებს შორის 61 კილოგრამში იასპარეზა **გვანცა გულორდავამ**. მან 68 კგ დაძლია და როგორც სამი მისვლის ჯამში, ასევე ინდივიდუალურში ვერცხლის მედლები მოიპოვა.

◎ ელადაში

# ოთხთა ნადავლი

**ევროპის ახალგაზრდული სერიის ეგიდით გამართული საბერძნეთის ღია პირველობა 13-15 წლის მაგიდის ჩოგბურთელთა სარეიტინგო ტურნირიც გახლდათ, სადაც წარმატებით იასპარეზა ქართულმა კვარტეტმა.**

განსაკუთრებით გვასახელა **ანასტასია ჩხარტიშვილმა,** რომელმაც 15-წლამდელთა ერთეულებში ყველას აჯობა, ხოლო თანატოლთა წყვილებში **თეკლა ლიპარტელიანთან** ერთად ვერცხლს დაეუფლა. აღსანიშნავია, რომ ამ ასაკობრივ ჯგუფში გუნდური მეორე ადგილი დავიკავეთ. მათ თანატოლ ვაჟთა წყვილებში მესამე პრიზიორები გახდნენ **ნიკოლოზ ჩხარტიშვილი** და **მათე ღამბარაშვილი,** ეს უკანასკნელი კი 13-წლამდელთა ერთეულების „ბ" კატეგორიაში საუკეთესო გახდა.

მოამზადა **გიორგი შოთაძემ**

თანამედროვე ფოლკლორი

# მისამძიმრება ორგულთა ბანაკს...

დღეს განაჩენი გამოცხადდება,
ევროპისაკენ გვეხსნება გეზი,
გაფარჩაკებულ ოპოზიციას
იმედად რჩება მხოლოდ „ჯეიზი".
კაცობისაგან დაცლილმა „ნაცმომ"
ბრძოლაში ურცხვად ჩააბა ქალნი,
ნეტავი რატომ გადაივიწყა,
ქარის მოძღვნილს რომ წაიღებს ქარი?
ორბელიანთა ძველ სასახლეში
„ენჯეოებმა" დასცეს ბანაკი,
სადაც სალომე მასპინძელია
იქ იწერება ორგულთ არაკი.
სულხან-საბასგან გაწვლილ მარშრუტით
მოღალატენი დაძრწიან მრავლად,
უკეთურობა მათგან შობილი
შთამომავლობას დარჩება ავად.
რამ შეაძულათ ასე სამშობლო
საზღვრებს მიღმა რომ იყიდებიან,
მაგათ რომ მწვანე შუქი აუნთო
ილიას საფლავს მივარდებიან...
დიდი წინაპრის სპეტაკი სულით
ამაყობს მადამ ზურაბიშვილი,
მედასავლეთე ნიკოლაძისგან
მას განასხვავებს მშობელნიც, შვილნიც.
ევროკომისარ ვარჰეისაგან
როგორც კი ელდა ეცემა ზოგ-ზოგს,
მყისვე „ვივამედს" ჩართავს „მთავარი",
სადაც მიშიკო „პროსტინას" მოძოვს.
პირდაპირ ეთერს მოწამლავს ნიკა
და კვესიტაძეც მოაფრქვევს ბოღმას,
ევროპარლამენტს საპანაშვიდედ
გაუგზავნიან გიულის ტოლმას.
რაც შეეხება 15 დეკემბერს
შობის მარხვაში გვიწევს სტატუსი,
კუბილიუსს და ფონ დერ ლაიენს
მივუსამძიმრებთ ბოთლი „ქამუსით"...

**ჯოჯო პირველი**

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{16}$ მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი" კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის" განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს სამეიე სოჰეილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** სამეიე სოჰეილ (პ/ნ 39867840), მცხეთა, საგურამოს ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი 004, ნაკვეთი 034

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

მცხეთა, საგურამოს ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი 004, ნაკვეთი 034 (საკადასტრო კოდი: 72.06.01.004.034 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 100948.44 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 8 ნოემბერი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 22 ნოემბერი, 14:30 საათი.

